## ისტორიული დღე

—

მაშ ხუმრობა აღარაა, მართლა იკრიბება სახელმწიფო სათათბირო 27 აპრილს. რამდენი დღით იკრიბება სახელმწიფო სათათბირო ეს სხვაა, მაგრამ ცხადია— რუსეთში პარლამენტარული რეჟიმი მყარდება· დღეიდან მოკიდებული, დღემდის რევოლიუცის მქადაგებელნიც-კი წესიერების მქადაგებლად გადიქცევიან. დღემდის თუ თავისუფლების მოსაპოებლად აფრიალებული დროშა წმინდა დროშად ითვლებოდა, დღეიდან მოკიდებული ყოველი თავისუფლებისთვის აღდგომა—შეუნდობელ დანაშაულებად იქნება გამოცხადებული. ამ ისტორიულ დღეს გამეფდება წესიერების რელიგია, სახელმწიფოებრივი კათოლიციზმი, რომელსაც ცეცხლითა და მახვილითა, ჯალათის, ამ სახელმწიფოს პირველ და უსაჭიროეს მინისტრის ულმობელის ხელით, თვით ხალხს—ხალხისვე სახელით ძალათ მოახვევენ თავზე. ისტორიული დღე! დიახ ისტორიული, რადგან დღეს ერთი გარკვეული კლასი ხდება უზურპატორი, ის ყველას მაგიერ, ყველას სახელით, მთელი ხალხის სახელით ჩაიგდებს ხელში უფლებას მთელი ხალხის სვე-ბედის თავის გემოზე მოწეს-რიგებისას.

„რა არის მესამე წოდება? არაფერი. რა უნდა იყვეს იგი? ყველაფერი“, ამბობდა აბატი სიესი. რა იყო დღემდის პოლიტიკურად ბურჟუაზია? არაფერი. მას თავის თავისუფლების მოპოების ენერგიაც არ ჰქონდა, ის სასახლეებში იმალებოდა და იქიდგან მხოლოდ გროშებით ეხმარებოდა კაცთ-უფლებების მომპოებელთ. რა იქნება იგი ამიერიდგან? ყველაფერი. როგორც მესამე წოდების სახით გარკვეული კლასი გამეფდა ხალხის სახელით ხალხზედვე, ისე სრულიად რუსეთის ბურჟუაზია ხალხის სახელით ხალხის ზურგზე თავის თვითმპყრობელობის ტახტს იდგამს. რაკი ეს ტახტი დაიდგმის, ყოველი მისწრაფება რევოლიუციისაკენ გამოცხადებულ იქნება ხალხის ღალატად, კულტურის დანგრევად, დანაშაულობად, შეშლილობად. ბურჟუაზია გამეფდა, მან ბატონობის ფორმალური და იურიდიული უფლება მოიპოვა. ბურჟუაზია მთელი საზოგადოებაა, ბურჟუაზია მთელი ხალხია; როცა ბურჟუაზია კმაყოფილია, ხალხიც კმაყოფილი უნდა იყოს. რევოლიუციაც უნდა გათავდეს. გათავდა, მორჩა: ერთი ტახტის წილ-მეორე იდგმის. ამგვარ მომაკვდინებელ, საწამლავივით მომქმედ აზრებს უწვეთებენ ხალხს გონებაში. ხალხმა მონობის უღელი გამოიცვალა. დიდი დღეა 27 აპრილი! მაგრამ ხალხი უფრო დიდი დღის შექმნას ესწრაფოდა, მას უღლის სულ ერთიანად დამტვრევა სურდა და ეს სურვილი არ არის აღმოფხვრილი მისი გულიდგან, ამ სურვილს იმის გულიდან ვერც სათათბირო აღმოფხვრის, პირიქით, სურვილი უფრო-და-უფრო გამაგრდება მასში და მალე მონების გამანადგურებელ ძალად იქცევა. სათათბირო შეიკრიბება. ბურჟუაზიასა და გარდაცვალებულ თვითმპყრობელობის მემკვიდრეთა შორის საშინელი წეწვა-გლეჯა შეიქნება, და როცა ორნი ერთმანეთს ცხვირსა და პირს ლაზათიანად დაუმტვრევენ, ხალხის დროც მაშინ დადგება. განკითხვის დღე კი არ დაღამებულა, ის აწი უნდა გათენდეს. თავისუფლების მსხვერპლთა სული ეშვება დედა-მიწაზე, რომელსაც სისხლის ოხშივარი ასდის· ქარტეხილის მომასწავებელი კაცთა ზღვას თავზე დაჰფრინავს... გაბრთხილებული ვართ... როგორც უმალ, ისე ეხლა თავისუფლების გზა ერთია—რევოლიუცია. საშინელია თავისუფლების შობის დღე, მაგრამ ის ბრწყინვალე და დიდებულია თვის საშინელებაშიაც-კი. ეხლა რეაქციის კუნჭულში ვართ მისული, სიდანაც მხოლოდ რევოლიუციას შეუძლია გამოგვიყვანოს. ყოველიფერი აღიდებს მის შანსებს: სათათბიროს თუ გაჰფანტავენ ძალით, მთავრობას ამითი ნიღაბი ჩამოეგლიჯება და ხალხი ხსნას მხოლოდ რევოლიუციაში-ლა დაინახავს; თუ არ გაჰფანტავენ, იქვი არ არის, სათათბირო და გარდაცვალებულის მემკვიდრენი ჯერ ერთმანეთს დაღრღნიან და მერმედ ხალხის ზურგზე მორიგებას მოისურვებენ, რათა შეირჩინონ, გაიყონ, გაინაწილონ მისი ნაოფლარი და ნაჭირნახულევი და ხალხიც ნათლად დაინახავს თავის ერთად-ერთ მხსნელს და მოკავშირეს—რევოლიუციას... განკითხვის დღე კი არ დაღამებულა, ის ეხლა თენდება.., მათ, ვინც დედა-მიწას, რომელზედაც თავისუფლებას და ერთობას უნდა ემეფნა, ჯოჯოხეთი მოუვლინეს, ჯოჯოხეთი მოევლინებათ.

———

## შ ე ს ა ვ ა ლ ი*)

Ceterum censeo Auctoritatem esse delendam

გადახლართვა და გადაჭდობა სხვა და სხვა კულტურებისა, სხვა და სხვა ფილოსოფიური თეორიების; ურთიერთობა მცნებების, წარმოდგენების და ზნეჩვეულებათა არის განაყოფიერება, რომლის შედეგი მიუცილებელი არის კლება, გახრწნის დაწყება ძველი არსებობის, ძველი მოძრაობის რეგრესი და ურთიერთობის იმ ახალ ნაყოფის განვითარების დასაწყისი, რომელსაც კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ჰქვია აღორძინება, „რენესსანსი“. კაცობრიობის ისტორია განიცდის მუდმივ განახლებას მაშინ, თუ მისი განვითარება პროგრესიულია. ამიტომ განახლება ძველის მკვდრეთით აღდგომა-კი არ არის, არამედ ის არის კაცობრიობის განვითარების ისტორიის ჰორიზონტზე ახალი ორიგინალური განთიადის დაწყება. აღორძინების, „რენესსანის“ ეპოქა თუმცაღა დავალებულია ანტიკური საზოგადოების წინაშე იმ სტიმულებით, რომლებიც წარმოიშვენ ძველი საზოგადოების ნანგრევებიდან, მის დასაწყისს, მაგრამ ამასთანავე ის არის დასაწყისი მომავალი, ახალი და დიადი შენობის.

ერთი მხრით „რენესსანის“ ეპოქის მოწინავე კაცები ხარჯავდენ თავიანთ ენერგიას და ძალ-ღონეს ძველი კლასსიკური კულტურის დანგრევის მიზეზების შესწავლაში და გათვალისწინებაში, რითაც ისინი უყრიდენ საფუძველს ახალ კულტურას — მეორე მხრით-კი გერმანელი ხალხების შესევის და გაბატონების შემდეგ რომის იმპერიის ნატურალური მეურნეობა დაეცა. ამნაირად დადგა კრიზისი ანტიკური საზოგადოებისა იმის გამო, რომ მოხვდა გადახლართვა, შეუღლება სხვა და სხვა კულტურებისა და უზარმაზარი შეერთება ბევრნაირი ნაციების; ყველა ამის შედეგი იყო წარმოშობა ახალი ნაციების თავისი შესაფერი კულტურით.

ახალმა ელემენტებმა შეანგრიეს ძველი კედლები ანტიკური კულტურის და გამოიყვანეს ძველი საზოგადოება თავის გაყინულ ეკონომიკო-პოლიტიკურ და სხოლასტიკო - რელიგიურ გაყინულ მდგომარეობისაგან.

———

*) დიალექტიკის კრიტიკა, გაგრძელება (იხ. ცნობის ფურც. № 2897)

ეს ფურცელი და ყოველმხრივი განვითარება თავისუფლების ცხადდება უმთავრესად სამ დიდ ისტორიულ მსვლელობაში: ემანსიპაცია ადამიანის გონების გონებრივი ავტორიტეტისაგან — ბრძოლა გუმანიზმის სხოლასტიკის წინააღმდეგ და ბრძოლა თავისუფალი აზროვნების არისტოტელის ავტორიტეტის წინააღმდეგ; ემანსიპაცია სარწმუნოებრივი სინდისის პაპის და ეკლესიის ბრჭყალებისაგან ბრძოლა რეფორმაციის ეკლესიის დოგმატების წინააღმდეგ; პოლიტიკო-ეკონომიური დ. სოციალური ემანსიპაცია სხვა და სხვა ხალხების—სახალხო, გლეხთა და მუშათა აჯანყება ფეოდალური ხასის და პოლიტიკო-ეკონომიური უღლის წინააღმდეგ —მრავალი აჯანყება გლეხთა და სხვათა და ბოლოს დიდი რევოლიუცია. „აღორძინების“ ხანა, იმისთვის რომ გამოსულიყო სხოლასტიური ჩხირკედელაობიდგან და გაელლო სულიერი ყინული, გაეღვიძებინა მალული ძალები, საჭიროებდა იმპულსებს, რომლებსაც უნდა განესაზღვრათ იმ დროების განახლება. ერთი ამისთანა იმპულსთაგანი იყო ის კონტრაბანდული არისტოტელი, რომელიც შესძინა იმ ებრაულმა და არაბულმა ერუდიციამ ოფიციალური არისტოტელის წინააღმდეგ; ბიზანტიურმა ერუდიციამ კი თავის მხრით შესძინა პლატონი, როგორც მოპირისპირე არა მარტო ოფიციალურის არამედ არა ოფიციალური არისტოტელის ავტორიტეტის წინააღმდეგ. როგორც ერთ დროში აუტანელმა სოციალ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ აიძულა ებრაელები გამოსულიყვნენ ეგვიპტიდან, ისე ძველის და საშვალო საუკუნოების გათახსირებულმა ატმოსფერამ და სხოლისტიკის დაჩლუნგებულმა მოქმედებამ, პაპის დესპოტიზმმა და ყველა ამასთან პოლიტიკო-ეკონომიურ მონობამ, აიძულეს მაშინდელი კაცობრიობა გამოსულიყო თავის გაყინულ და აუტანელ მდგომარეობისაგან.

ეკლესიის ავტორიტეტის წინააღმდეგ აჯანყდა ანტიკური თავისუფლების სული. სასულიერო წოდების თავდაუჭერელი დესპოტიზმის ფუფუნების და სიხარბის წინააღმდეგ ამხედრდა რეფორმაცია. მაგრამ ყველა ეს არ იყო საკმარისი ადამიანის მაშინდელ მდგომარეობისთვის და ეს ზრდა თავისუფლების მხოლოდ მაშინ გახდა არსებითი, როდესაც გაუმაძღრობამ, გულქვაობამ პოლიტიკურად და ეკონომიურად გაბატონებულ საზოგადოებისამ მოიყვანა მოძრაობაში ემანსიპაციონური ძალები მეორე მისგან გაყვლეფილ საზოგადოების თავის წინააღმდეგ.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ეს იყო ერთი ისტორიულ მომენტთაგანი მუდმივ და დიადი ბრძოლის, რომელიც გაჩაღებულია უხსოვარ დროიდგან ავტორიტეტს და თავისუფლების შორის.

უკვე საფრანგეთში XIII საუკუნეში იჩენს თავს მისწრაფება, რომლითაც კაცობრიული აზროვნება ცდილობს მოიშოროს თავიდგან სხოლასტიური სიჩლუნგის და შემოფარგლულობის უღელი. მე-XIV საუკუნეში ნიკოლოზ ოტრეკური ბედავს და ამბობს, რომ უნდა გადაგდოს კაცმა არისტოტელი და ავეროესი გვერდზე, და მიჰყოს ხელი საგნების და მოვლენების შესწავლას პირდაპირ ამ ფილოსოფოსების უშუამდგომლოდ.

სხოლასტიკის ბატონობამ ფილოსოფიის ისტორიაში შეაფერხა თავისუფლად აზროვნება, კვლევა-ძიება და წარმოშვა მხოლოდ მდგარი, უმოძრაო სისტემები, გაამრავლა უშინაარსო სიტყვები და მცნებები. აზროვნების და მეცნიერების დაწყება შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი დანგრევით, რადგან ის წარმოადგენდა უზარმაზარ ტვირთს ყველა დამპალ, დახავსებულ აზრებისას; ის გამხდარიიყო სალარო ძველი ფილოსოფიური სისტემების შეცდომების წინ განზრახულებათა. ჯაჭვები, რომლითაც სხოლასტიკამ შებოჭა კაცობრიული აზროვნება, ისე მაგარი იყო, რომ საჭირო შეიქმნა ბევრი მსხვერპლი მოაზრებისა მის შესასუსტებლად და დეკარტის და ბეკონის გონებრივი ენერგია მის საბოლოოვოთ დასანგრევათ. სხოლასტიკა იყო ნამდვილი განუყოფელი ბატონობა და მეფობა არისტოტელისა. მაშინდელი ფილოსოფოსების და მეცნიერების გონებრივი წარმოება განისაზღვრებოდა მხოლოდ იმით, რომ აეხსნათ და განემარტათ ყველაფერი მხოლოდ იმ საზღვრებში, რომლებიც ნაჩვენები ჰქონდათ, არისტოტელის ფილოსოფიის სახელით. მიუხედავათ კომენტატორების სიმრავლისა და, მათი ერთგული მუშაობისა, არისტოტელის ფილოსოფიამ სხოლისტიკის ხანაში ვერ წარმოშვა მსოფლიოზე და ადამიანზე ვერც ახალი და ვერ სასარგებლო აზრი. მეტი რომ აღარაფერი დარჩათ მიჰყვეს ხელი ისეთი კითხვების გამოკვლევას, რომლებსაც ფილოსოფიასთან არაფერი არ ჰქონდა, მაგალითად: „რატომ იყო ევა შექმნილი ადამის ერთი გვერდიდგან და არა მისი სხეულის სხვა ნაწილიდგან?“ თაგვმა რომ [illegible] ყველაფერი შესჭამოს, სჭამს ამით ის [illegible] სხეულს თუ არა?“ მაგრამ ცხადია რომ, როდესაც ვიწრო დოგმატიურ ფარგალში დამწყვდეულ აზროვნებას ასპარეზი ამნაირად შემოელევა, მაშინ მისი განვითარება, ზრდა შეწყდება და დაიწყება ნგრევა თეორეტიული საფუძვლებისა ან ცნობის მოყვარეობა დაატოვებიებს გაკოლრებულ გონებრივ მის სამშობლოს. ერთი მხრით შესაძლებელი იყო მიმხრობოდით გინდ პლატონს, გინდ არისტოტელის, გინდ პითაგორის ფილოსოფიას, მაგრამ ამასთანავე ვალდებული იყავით მიმხრობოდით ქრისტიანულ სარწმუნოებას, რადგან ეკლესია უნდა ყოფილიყო ერთი, განუყოფელი და საყოველთაო; მეორე მხრით შეგეძლოთ ყოფილიყავით ებრაელი, ქრისტიანი, მაჰმადიანი, მაგრამ ამასთანავე ვალდებული იყავით, გეცნოთ არისტოტელის ავტორიტეტი და მიმხრობოდით მას.

მრავალ საუკუნოების განმავლობაში რომის ეკლესიას და სხოლასტიკას ჰქონდათ პრეტენზია გიმხდარიყვნენ სხეულიც და სულიც, მთავრობაც და ქვეშევრდომიც, თავისუფლებაც და ავტორიტეტიც, ერთი სიტყვით ყველაფერი —პირველი თავისი საშინელი ცენტრალიზმით, მეორე-კი თავისი ავტორიტარული ობსკურანტიზმით, დახავსებულობით და შემოფარგლულობით. ყველა ამ თვისებათა ეს ორი გამხრწნელი და გამათახსირებმლი ელემენტები ცდილობდენ დაემორჩილებიათ თავის თავისთვის და დაეყენებიათ თავის მზრუნველობის ქვეშ ყველა და ყველაფერი. ერთი მხრით რომის ეკლესია ფიქრობდა ეცხოვრა სხვის ადგილას და სხვის მაგივრად, მეორე მხრით სხოლასტიკა ფიქრობდა, აზროვნებდა სხვის ადგილას და სხვის მაგივრად. თავის ბატონობის საფუძვლების დასამყარებლად ეკლესია ცდილობდა გამხდარიყო ერთადერთი შუამავალი ცის და მიწის შორის, მსგავსად სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც თავის თავს აღიარებს ერთად ერთ შუამავლად თანამედროვე ემანსიპაციონურ მოძრაობის და მომავალ საზოგადოების იდეალის შორის.

ქრისტიანული სარწმუნოება ისწრაფოდა გამხდარიყო ერთად ერთი ჰეგემარიტი სარწმუნოება სხვა და სხვა რწმენათა შორის, ამასთანავე ღვთის სასუფეველი, რომელსაც ის აქებდა, უნდა ყოფილიყო ერთად ერთი, როგორც

ერთად ერთია ღმერთი. მსგავსად ამისა თანამედროვე სოციალ დემოკრატია, როგორც ნამდვილი სოციალური ეკლესია, ცდილობს გახდეს მარქსიზმის სარწმუნოების ერთად-ერთ სასულიერო სამინისტროდ, ამასთანავე მარქსის სასუფეველი, რომელსაც ის აქებს და ადიდებს უნდა იყოს ერთად ერთი, როგორც ერთად ერთია მარქსი. შედეგი ამგვარ მისწრაფებათა იყო ის, რომ ეკლესიამაც და სხოლასტიკამაც განიცადეს: პირველმა შინაგანი სიდამპლე და გახრწნა, მეორემ გაქვავება, გაშეშება, და ბოლოს დარღვევა და სიკვდილი. აი სწორეთ ამ გვარმა მდგომარეობამ თანაარსად მსგავს პოლიტიკო-ეკონომიურ მდგომარეობისა გამოიწვია ამოხეთქაა იმ ვულკანის, რომელიც ამ მდგომარეობამ გაზარდა და შემდეგ განვითარებასთან ერთად გადაიქცა საფრანგეთის დიდ რევოლიუციად.

ამ ბრძოლამ თავისუფალ აზროვნების და დოგმატიზმის შორის მიიღო სხოლასტიკაში განსაკუთრებული სახე, რომელსაც „ორკეცი ჭეშმარიტების“ თეორია ჰქვია. მეცამეტე საუკუნის ერთმა ფილოსოფოსმა სახელად ივანე ბრესკენმა, როდესაც ერეტიკობა დააბრალეს, თავი იმით იმართლა, რომ ის რაც ვასწავლე „ფილოსოფიურად“ ვასწავლე და არა „თეოლოგიურადო“. სწორედ მსგავსად ამისა სოციალ-დემოკრატია აღიარებს, რომ პრინციპიალური კითხვა სხვა არისო და პრაქტიკული კითხვა სხვაო.

თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ მდგომარეობას დავინახავთ რომ სრული ანალოგია არის: 1, სხოლასტიკის და დღევანდელ მარქსიზმის შორის, 2, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის და ეკლესიის შორის. სოციალ-დემოკრატიული პარტია დღეს არის ნამდვილი სოციალური კლერიკალიზმი, სოციალური ეკლესია-მარქსიზმი კი მისი ზურგის გამმაგრებელი თეოლოგია, სხოლასტიკა. მაგრამ, როგორც ეს სხოლასტიკის ბატონობას მოჰყვა, აზრი, როგორც მუდმივი ფუნქცია ტვინის, ისეთი ძალაა, რომლის მოკუმშვა, მოწურვა შეიძლება და განადგურება-კი არა. რაც უფრო ვიწრო ადგილს მიუჩენთ, მით უფრო გაიზრდება მისი წინააღმდეგობის თვისება და ბოლოს, რომელიმე ჭუჭუტანიდან გამოვა თავისუფალ ჰაერზე. ასეთია ისტორია ყველა დოგმატიზმისა.

D-r Delendi

## ეკონომიურ მონიზმის კრიტიკა

IV

როგორც დიალექტიკაში გვქონდა ნათქვამი, (იხ. ცნ. ფურც. № 2897) ფეიერბახს დიდი გავლენა ჰქონდა მარქსის და ენგელსის აზროვნებაზე. ფეიერბახის აზრით კაცი არის რასაც ის სჭამს (человѣкъ есть то, что онъ ѣстъ). ამ ფორმულამ მარქს და ენგელსზე ისე იმოქმედა, როგორც ჯადომ. თქმა იმისი, რომ ადამიანის ცხოვრებისთვის, როგორც მიზნისათვის, საჭიროა ჭამა, და ამის შემდეგ დასკვნა იმისი, რომ მაშასადამე უმთავრესი და უპირველესი ეკონომიური მდგომარეობა, წარმოებითი ურთი-ერთობა არისო, შეცდომა იქნება საზოგადოთ და კერძოთ, და უმეტესად მარქსიზმის, როგორც მიზნიანობის, თელეოლოგიზმის, უარის მყოფელის; დეტერმინიზმის და ტელეოლოგიის ერთი მეორეში არევა მარქსიზმის ფატალისტური შეხედულების ბრალია, ფატალიზმი სინტეზია ამ ორი დიალექტიკური, უკუღმართი პრინციპების: ამასთანავე ეს შერევა ორი წინააღმდეგის და მათი შეერთების ცდა შედეგია უფრო დიდი შეცდომის: მარქსი და ენგელსი ემყარებიან დარვინიზმის თეორიაზე, ამ შემთხვევაში იმით, რომ მათთვინ ადამიანის მიზანი თავის არსებობის ცხოვრების დაცვა არის, ბრძოლა არსებობისთვინ. დარვინიზმი ბევრ პრინციპს შეიცავს; რაც შეეხება არსებობისთვის ბრძოლას, ჩვენ ვფიქრობთ, და თუ საჭიროდ დავინახეთ საბუთებსაც ბევრს წარმოვადგენთ იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ დარვინიზმი შეიცავს ტელეოლოგიის გვარიან მოზრდილ დოზას, ეხლა კი ვიტყვით

# ფელეტონი

## მეტ-ფასი და უტოპიზმი.

IV

(თარგმანი.)

ამგვარად, მეცნიერებაში უარყოფილ მეთოდით შეიარაღებულმა ჰეგელის რეაქციონურ და მეტაფიზიკურ შკოლის მოწაფეებმა აღმოაჩინეს მეტ-ფასი (მკითხველს ვსთხოვთ გაიხსენონ ვოლტერის მიერ მეტაფიზიკის უკვდავი განსაზღვრა. რაც შეეხება ჰეგელს, ზევით ნახსენები ვუნდტი ამბობს: „ჰეგელი ნამდვილი რესტავრაციის ფილოსოფოსია. ის სავსებით დარწმუნებულია, რომ **ინდივიდი უნდა ემსახუროს... სახელმწიფოს**, დაემორჩილოს უსათუოდ ერთად ერთ ნებას. აბსოლიუტურ ფორმაში ის ქებათა-ქებას ასხამს ბიუროკრატიულ კონსტიტუციონალიზმს.... მისი ისტორიის ფილოსოფიის ზოგადი იდეა დაქვემდებარებულია და ემსახურება ამავე დროს რევსტარაციის ეპოქის ფილოსოფიურ მიმართულებას“.) (იხილე იგივე სიტყვა).

რა არის მეტ-ფასი?

ენგელსი ამბობს: „მარქსმა დაამტკიცა, რომ ძირითადი ფორმა კაპიტალისტური წარმოების და მუშის ექსპლოატაციის არის მითვისება უფასო შრომისა; ესე იგი მუშა მიიღებს უფრო ნაკლებს, ვინემ კაპიტალისტი ნაწარმოების გაყიდვისაგან“. ვნახოთ ეხლა მართალია თუ არა, რომ სოციალისტებმა და პოლიტიკურმა ეკონომიამ არ იცოდა „კაპიტალის“ გამოქვეყნებამდი 1867, რომ ბურჟუაზული სიმდიდრე ნაყოფია ფას გაუღებელი შრომის. უკვე უკანასკნელ საუკუნეებში ჩვენ ვხედავთ ძლიერ სწორ განსაზღვრას იმ ნაწილისას რომელსაც პატრონი აკლებს მუშის ქირას.

„ფიზიოკრატები, ამბობს ლ. დენი (Histoire des systemes socialistes), ძლიერ მკაფიოდ აღნიშნავდენ მწარმოებლის, მესაკუთრის და ექსპლოატატორების-მიერ მითვისებულ ნაწილს. ისინი, როგორც ადამ სმიტი, უძახოდენ ამ ნაწილს **წმინდა ნაწარმოებს**. პოლიტიკური ეკონომიის დიდი დამაარსებელი მარქსზე შეუდარებლად კარგათ ამტკიცებს, რომ **ყველა სიმდიდრე შრომის ნაყოფია** და არასოდეს ზნეობრივი მხრით მას კვერი არ დაუკრავს ისეთ საქციელისთვის, რომლითაც მწარმოებელი ართმევს მწარმოებელს თავისს წმინდა ნაწარმოებს.

მე-XIX საუკუნის დასაწყისში ს. სისმონდიმ, თავის ცნობილ თხზულებაში: **ახალი პრინციპი პოლიტიკურ ეკონომიისა**, დაამტკიცა, რომ თუ გამოვაკლებთ წარმოების ხარჯს ნაწარმოების საცვალ ღირებულობას, მაშინ დაგვრჩება აქედგან კაპიტილისტის-მიერ **მითვისებული ნამატი.** ამ ნამატს შრომისას სისმონდი **ნამატ-ღირებულობას**, (surplus—value) უძახდა გერმანულად თუ გადავთარგმნით გამოვა მარქსის mehrweth-ი, ე. ი. ფრანგული ტექსტის მეტ-ფასი (plus—value). სისმონდის თხზულება გამოქვეყნდა 1819 ე. ი. ენგელსის დაბადებას ერთი წლით დაასწრო. სისმონდი, თუმცა-ღა მოწი-

მხოლოდ იმას, რომ არ სწარმოებს ბიოლოგიური არსებობისათვის ბრძოლა, ან ბრძოლისათვის ბიოლოგიური არსებობა, რომ ბიოლოგიური ორგანიზაცია, ცხოველი, უკანასკნელი ანგარიშით დროში და სივრცეში ბრძოლაზე ნაადრევი არ არის და არც ბრძოლა არის უპირველესი. ცხოველური, ბიოლოგიური ორგანიზმი და ცხოველური ფუნქცია დაუშორებელი არიან დროში და სივრცეში; ჩემი შეგნებით სწარმოებს მხოლოდ განვითარება, ევოლიუცია და მისი შედეგი ტრანსფორმაცია,—რევოლიუცია რომლის ახალი შედეგი აგრეთვე ევოლიუცია არის. აი სწორედ ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ დარვინისტი, ლამარკისტი, სპენსერისტი ან მარქსისტი, ჩვენ ვართ ფილოსოფიაში და მეცნირერებაში ტრანსფორმისტი, ევოლიუციონისტი, სოციოლოგიაში კი არქიის უარმყოფი სოციალისტი და რევოლიუციონერი. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ დარვინს თავის თეორიაში ტელეოლოგია შეეპარა, მაშინ არ გაგვიკვირდება ტელეოლოგიური ხასიათი ხარქსიზმის, რომელიც დარვინიზმს ეყრდნობა და კრიტიკის თვალით არ უყურებს. აგრეთვე თქმა იმისი, რომ ერთად-ერთი საშვალება ამ მიზნისა (ცხოვრების) ჭამა და მაშასადამე ეკონომიური წარმოება არისო შეცდომა იქნება, რადგან ბუნებაში ერთად-ერთი საშვალება და პირობა არ არსებობს. ამასთანავე თუ ჭამა, ეკონომიური ურთი-ერთობა—პირობაა, საშვალებაა, მაშასადამე თვით მარქსიზმის თეორიის თანახმად ეს საშვალება დაქვემდებარებულია, ექვემდებარება ცხოვრებას, როგორც მიზანს და ამ ნაირად აბსოლიუტური ობიექტივიზმი, დიალექტიკური მატერიალიზმი გადაიქცევა ეკონომიურ მონიზმად, გადაიქცევა აბსოლიუტურ სუბიექტივიზმათ, იდეალისტურ მონიზმათ.

Primum virere deinde Phlosophare.

მთელი მარქიზმის ისტორიული კონპცეპცია ამ რომაულ თქმულებაში გამოიხატება. ამ ლათინურ ანდაზის აზრი ისაა, რომ ჯერ ცხოვრება და შემდეგ ფილოსოფია. ფეიერბახიც იმას ამბობდა რომ: კაცი ის არის რასაც სჭამსო. ეს რომაული ანდაზა ამბობს, რომ პირველად პურიო და მერმე ფილოსოფიაო ე. ი. ჯერ საჭმელი და წარმოება, რომელიც საჭიროა ორგანიული არსებობისთვის, შემდეგ ყველაფერი სხვაო. მაგრამ მიუხედავად ბრძნული გარეგნობისა, თქმულება და აფორიზმი თქმულებად და აფორიზმად რჩება და არა მეცნიერულ პრინციპათ. არ არის მეცნიერული ის პრინციპი, რომელიც ძირითადად და პირველად აღიარებს საჭმელს და ეკონომიურ ურთიერთობას მონისტურად, უპირატესად დროში. ერთი მხრით იმიტომ, რომ ჭამა ბიოლოგიური მოვლენა არის და მაშასადამე სოციოლოგიური და ისტორიული პრინციპი არ არის, მეორე მხრით იმიტომ რომ ჭამაც და ეკონომიური ურთიერთობაც, ანუ წარმოებითი ურთიერთობაც, ორივე აქტები არიან და როგორც აქტები, მოქმედებანი,—ორი მოძრაობა არის; მაგრამ, რადგან მოძრაობა უმისოდ რაც მოძრაობს ე. ი. ინივთიერებოთ, უმატერიოდ არ შეიძლება, ამიტომ ჭამა დროში და სივრცეში განუშორებელს ხდის ანატომიას ფიზიოლოგიისაგან, წარმოებას პსიხოლოგიისაგან; წარმოებითი ურთიერთობა განუშორებელს ხდის ეკონომიურ მდგომარეობას იურიდიულს, ზნეობრივს და პოლიტიკურ მდგომარეობისაგან. ჭამა და ეკონომიური მდგომარეობა რომ უმთავრესად მონისტურად იდეოლოგიის გამსაზღვრელი იყოს, მაშინ ზოგი ბელთოყლაპია გენიოსები იქნებოდნენ და ედისონი იდიოტი, მაგრამ ნამდვილად ცხოვრებაში ბევრი „მაძღარი ღორია“ და და ბევრი „მშიერი სოკრატი“. საჭიროება კიდერ ამუშავებს კაცს და კიდეც ააზროვნებს; რადგან აზროვნება პსიხიურ ძალთა მუშაობაა და რადგან პსიხოლოგია მოძრაობის კერძო შემთხვევა, და ამასთანავე მთელი ადამიანის არსებობა მისი და მისი გარეშე წრის ნივთიერების ენერგიის შემოსავალ-გასავა-

---

ნავე აზრის მქონი და ლიბერალი, არ იყო სოციალისტი და მეტ-ფასის ასეთი განსაზღვრა მის-მიერ იყო ნაყოფი მხოლოდ მეცნიერული კვლევის

* * *

მაგრამ რაოდენ მაღალი იყო მეტფასის და ხალხის სიღატაკის ნამდვილი მიზეზის კონცეპცია სისმონდის თანამედროვე სოციალისტებში! განსაკუთრებით რობერტ ოვენის და მის მეგობარ ვილიამ ტომპსონის წარმოდგენაში...

„მეცნიერული“ სოციალიზმის ოხუნჯები ენგელსის მიბაძვით იმეორებენ, რომ რობერტ ოვენი უტოპისტი, ერთგვარი ბოდვაში მყოფი მეოცნებე იყოვო. ეს ერთთავად ტყუილია. ჯერ თვით თომა მორუსისათვის, ამ კლასსიკურ უტოპისტისათვის და **უტოპიის** ავტორისათვის არ არის ადგილი ფანტაზიისთვის. თ. მორმა, ერთმა შესანიშნავთაგანმა თავის დროის მეცნიერებში, მეგობარმა ერაზმ როტერდამელისამ, პოზიტივური ნიჭის კაცმა პირველად მიუთითა, რომ ისეთ საზოგადოებაში, რომელიც დამყარებულია ექსპლოატაციის პრინციპზე და კერძო საკუთრებაზე, მხოლოდ ძლივს-ძლივობით იქნება ერთი მეხუთედი მცხოვრებლების მუშაობდეს სასარგებლოთ და რომ კაცობრიობას სცოდნოდა მოეწყო თავისი ორგანიზაცია თანაზიარობის (**солидарность**) პრინციპზე,—დღიური **ექვსი საათის მუშაობა** საკმარისი იქმნებოდა კეთილდღეობის და სიუხვის შესაქმნელად. გულწრფელ ადამიანებმა აღიარეს კარგა ხანია მას აქეთ, რომ მისი თხზულება **„პირველი მონუმენტია თანამედროვე სოციალიზმის“**.

უფრო ნაკლები ოცნების კაცი, თუ ეს შესაძლებელია, იყო დამფუძნებელი სოციალიზმის და მუშათა მოძრაობის ჩვენ საუკუნეში, რობერტ ოვენი (1771—1858). მან პირველმა შეიგნო და დაადგინა, რომ, რადგან კაცის ცოდნა არის ნაყოფი გარეშე წრისაგან მოსული შთაბეჭდილებების (ლოკკი, კონდილაკი, ენციკლოპედისტები, ბიშა, მაჟენდი, კლოდ ბერნარი და სხვა) და რადგან არ არის თანდაყოლილი იდეები (des idées innées) ანუ წინგანზრახულნი, ამიტომ ადამიანის ხასიათი უნდა იყოს ნაყოფი წრის გავლენის და იმ სოციალურ პირობების, რომლებშიაც ინდივიდი იბადება და ცხოვრობს. „მაშასადამე, ამბობს ის, კაცი-კი არ არის პასუხის მგებელი, არამედ საზოგადოება და გარეშე პირობები. უნდა გამოიცვალოს არსებული სოციალური წეს-წყობილება, თუ გვინდა, რომ შევამსუბუქოთ კაცობრიობის ტანჯვანი“. მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება მოანდომა ამ ეკონომიური პირობების შეცვლას. თავის ნიუ-ლანარკის ქარხანაში იმან მოაწყო მუშებისთვის ისეთი ცხოვრება, რომელიც დღეს ჩვენ დროშიც-კი ჩაითვლება ბედნიერებათ; იმან დაარსა პირველი ბაღები ბავშთათვის და ხელი მოუწყო ბელს და ლანკასტერს მათ პირველ საქმეებში, აგრეთვე ხელი მოუწყო ფულტონს და მის ორთქლით მავალ ხომალდს; იმან მიაქცევინა ყურადღება, გააღვიძა თანაგრძნო-

ლი,—ამიტომ ადამიანის ყველა აქტი ნივთიერების მოძრაობაა და მაშასადამე ყველა ერთნაირად მატერიალისტურია; მარქსი მართალია (ყველაფერში შეცდომა შეუძლებელია ისე, როგორც ყველაფერში უკანასკნელი ჭეშმარიტების თქმა), როდესაც ამბობს, რომ „საჭიროება სავსებით არა ჰქმნის ისტორიასო“. საჭიროების ქელეხზე ბევრი წვეულია, მაგრამ ცოტა რჩეული. ვისაც ტვინის მასალა არ უვარგა ან მიუხედავად ტვინის დიდი ჭურჭელისა ტვინზე ღარიბათ არის, მაინც ვერაფერს მოიგონებს, თუნდაც მთელი მარქსი ზეპირად იცოდეს. ადამიანი მარტო შიგნეულისაგან არ შესდგება. ცხოველი საზოგადოთ ერთ და იმავე დროს შესდგება, როგორც მოსანელებელ აპარატისაგან ისე სააზროვნო და სამოქმედო (მუსკულური) აპარატებისაგან და ევოლიუციის მომავალ სერიაში ეს სამი ანატომიური აპარატები და მათი ფუნქციები, ზნეობა პარალლერულად სადავდებიან ისე, როგორც ჩამავალში რთულდებიან, უკანასკნელ ანგარიშში ერთად წარმოსდგებიან და ერთად ქრებიან. ყველა იმას როგორ ავხსნით მაგალითად, რომ, თუმცაღა ეკონომიური, წარმოებითი ურთიერთობა და სკოლის ტერმინით წინააღმდეგობანი ინგლისში უფრო წინ არის წასული ვინამ გერმანიაში, მაგრამ მიუხედავად ამისა სოც.-დემოკრ. გერმანიაში უფრო მეტია და მძლავრი ვინემ ინგლისში.

ადამიანების ისტორია არსებობს არა იმიტომ, რომ ადამიანს მუცელი აქვს, არამედ იმიტომაც რომ ადამიანს ხელი აქვს ფეხი აქვს და აგრეთვე ტვინი და და ენა. ამბობენ: რომ ანდაზა Primnm vivere deinbe Philosophare არის ტოტელის მოგონილიაო და საბერძნეთის ისტორიაშიაც მისგანვე ამ ანდაზის აზრით არის ახსნილიო. ერთი მხრით რათ არის რომ სიმშილის დროს ზოგ ადამიანს არ ეფილოსოფოსება, მაგრამ ზოგი კი მხოლოდ შიმშილით გაფილოსოფოსდება? მეორე მხრით, თუ ცხადია, რომ პსიხიური მოძრაობა აზროვნება არ არის, მაშინ როდესაც საჭმელის მოთხოვნილება არ არის, ცხდია ისიც, რომ თუ ჭამის საჭიროების გრძნობა არ არის, არ არის საქირო თვით ჭამაც. დროში უპირველესობა და უპირატესობა შრომა და ფილოსოფიის აზროვნების შორის თავის დღეში არ ყოფილა, როგორც ამას პირველყოფილი და შემდეგი დროების ცივილიზაციის ისტორია გვიჩვენებს; რამოდენად დაბალია ეკონომიური საფეხური, იმდენადვე დაბალია მისი თანამედროვე ფილოსოფია, თეორია. მარქსი ისტორიის ფილოსოფიას და ისტორიას ერთი მეორეში ურევდა. ჩვენი აზრით ისტორიის ფილოსოფია და ისიც ისეთი, როგორიც მარქს აქვს, არ არის საკმარისი ისტორიოგრაფიისთვის. ცნობილი ფრანგი ისტორიკოსები ლანგლუა და სენიობოსი ამბობენ: (Лаиглуа и сеньеноосъ: Введеніе къ изученію исторіи стр. 137:) რომ ლამპრეხტი თავის ვრცელ სტატიაში „Was ist Kulturgeschichte“ „ცდილობდა დაემყარებია ცივილიზაციის ისტორია საზოგადოების კოლლექტივურ სულის ტეორიაზე, რომელიც ვითომ წარმოშობს „პოლიტიკოსოციალურ“ მოვლენებს, რომლებიც ეთვისებიან მთელ საზოგადოებას და რომლებიც განსხვავდებიან ყველა თვითეულ ხანაში. ეს მეტაფიზიკური გიპოტეზაა და მეტი არაფერიო“. ამ გვარივეა დაახლოვებით მარქსის მეტოდიც. მარქსისტული კონცეპცია ისტორიის მეტაფიზიკურიც არის და ფიზიკურიც. მეტაფიზიკურია, როგორც მონიზმი და როგორც მეთოდი—ფიზიკურია, მატერიალისტური სიტყვიერად. ამ უკანასკნელ, და ბევრ სხვა ზემოდ მოყვანილ და აქ მოუყვანელ მოსაზრებით, ჩვენ გვეძლევა საშვალება ვთქვათ, რომ მარქსის ისტორიული კონცეპცია მეტაფიზიკის უკანონო შვილია, რადგან ის არც წმინდა მეტაფიზიკაა, არც მეცნიერული, სოციალოგიური მეტოდი და არც კონკრეტული ისტორიოგრაფიის საზოგადო და კერძო მოვლენათა ახსნა. გადაჩხრიკეთ მარქსის და ენგელსის ყველა

---

ბა რიკარდოსი, ბენტამის და სხვების ქალების და ბავშვების მონობისადმი ფაბრიკებში და 1802 მიუცილებელი გახადა პირველი კანონი მუშათა შესახებ კანონმდებლობაში. 1815-ში, მაშინ როდესაც მუშები დღეში 14, 16 და 18 საათს მუშაობდენ, მან მოაწყო 10 საათის კომიტეტი, რომელიც ისეთი გულის პატრონების დახმარებით, როგორიც ოსტლერი, ლორდ აშლეი და სხვები იყვნენ, მიაღწია იმას, რომ 1847 საქმე დაბოლოვდა იმით, რომ 10 საათის მუშაობა კენჭის ყრით გავიდა. (ეს კანონი ჯერ არ გასულა იმ გერმანიაში, სადაც ჰყვავა მეცნიერული სოციალიზმი).

ატეისტი, კომმუნისტი და ფედერალისტი, რ. ოვენი ავრცელებდა იმ აზრებს, რომლითაც **თვით** საზოგადოებას უნდა მოეწყო წარმოება, მოხმარება და ინტეგრალური (სრული, ყოველმხრივი) აღზრდა. ეს იყო ის, რომელმაც 1836 დაარსა „ყველა კლასთა და ყველა ნაციათა საფოგადოება“—ინტერნაციონალის წინამორბედი—რომლის სხდომებზე სიტყვა სოციალიზმი (და არა „მეცნიერული“) პირველად იყო ხმარებული. იმავე დროს, როგორც პროპაგანდის საშვალება, იმან მოაწყო კოოპერატიული საზოგადოებანი და თავისუფალ გაცვლის ბაზარი შრომის ბარათებით. „შრომა, ეუბნებოდა ის მუშებს, 5 დეკემბერს 1833, არის სიმდიდრის წყარო და შეიძლება დარჩეს მუშის ხელში მაშინ, როდესაც მუშები შეთანხმდებიან ამის თაობაზე“. იმან არა ჩვეულებრივი მოქმედობა გამოიჩინა ამ შეთანხმების შექმნისთვის, განსაკუთრებით ტრედ-უიონებში. 1833-ში ის თხოულობდა „8 საათის სამუშაო დღეს და ქირის მინიმუმის დადგენას“. ამავე წელს, მან მოაწყო „მწარმოებელ კლასთა საზოგადო კავშირი“. რამოდენიმე კვირის განმავლობაში უკვე 500,000 წევრი ირიცხებოდა, რომელთა შორის იყვნენ **სოფლის მუშები** და ქალების ჯგუფები. ამან მისცა მას საშვალება 1834-ში შეექმნა ყველა ხელობათა ფედერაცია შემდეგი სახელით: „დიდი ნაციონალური ტრედ-უნიონი“. და მართლაც დიდი შეიქმნა მოძრაობა. „ტრედ-უნიონისტური მოძრაობის გაფართოვება 1830 და 1834-ში, რამოდენადაც ეს ჩვენ ვიცით (ს. ვებბი, ტრედ-უნიონიზმის ისტორია, 1894, გვ. 314) აჭარბებდა 1871—75 წლების მოძრაობას“. ეს ორგანიზატორი, შეუდარებელი კაცი თავისი სიწყნარით, დაჩაგრულთა ემანსიპაციისთვის თავდადებულობით, პოზიტიური ჭკუის პატრონი უნდოდათ გაესაღებინათ ოცნების კაცად!.. და ვის?—კაცებს, რომლებიც თავის თავს სოციალისტებს უწოდებენ, რომლებიც იმეორებენ ზოგ ფორმულებს, ზოგ განკერძოებულ მოთხოვნებს, მის ფართო სოციალისტურ კონცეპციის უმნიშვნელო ნაჭრებს, მის პატიოსან აგიტაციის ნატეხებს.

ვ. ჩერქეზიშვილი.

ლა ნაწერები და შემდეგ დასვით კითხვა: მართლა ფაქტიურად დაამტკიცეს თუ არა, რომ რეალური, ნამდვილი საფუძველი მთელი იდეოლოგიის—გონების, ზნეობის, უფლების და სახელმწიფოის—არის მხოლოდ წარმოებითი, ეკონომიური ურთიერთობა? ამ გადაჭრილ კითხვაზე ერთი გადაჭრილი პასუხია: არც ერთს ამ „ტყუპთაგანს“ არ დაუმტკიცებია ეს. ასე სჭირთ ყველა სოციოლოგიის და ისტორიის დილეტანტებს. თვით კონკრეტულ სოციოლოგიას და ისტორიას გვერდზე მიაგდებენ და მიახტებიან ისტორიის ფილოსოფიას, რადგან ამ ყანაში სამკალი ბევრიც არის, ადვილიც და ამ უმცნოურ გონების პროვინციაში, აზროვნების ოხშივარში ყველა სისულელე და გონიერება თანასწორად ნება დართულია. რამოდენად პროგრესიულ ევოლიუციის გზაზე საგანი ამ პროგრესიულ ევოლიუციის წინარის წასული, იმოდენათ უფრო რთულია ის და მაშასადამე რთულია აგრეთვე ის პრინციპი, რომელიც მეცნიერულად და თეორიულად ახასიათებს ევოლიუციას თავის შინაარსით. მარქსი ენგელსი კი წინააღმდეგ ამისა ცდილობენ მიიყვანონ ისტორიული ევოლიუციის პრინციპი უკიდურეს სიმპლიციზმამდე და პრიმიტივიზმამდე. მართალია, რომ დაყოფა, ანალიზი საკვლევი მოვლენის თავის შემადგენელ ელემენტებად მიუცილებელია მისი გათვალისწინებისათვის, მაგრამ არა ნაკლები მართალი და მიუცილებელია სინტები, შეთხზა დაყოფილი ელემენტების, თუ გვინდა, რომ ევოლიუცია თავისი შინაარსით მთელ თავის კონკრეტობაში შევიგნოთ, რადგან რამოდენათ კონკრეტულია მოვლენა იმოდენად რთულია და ამასთანავე შეუძლებელია რთულის შეგნება ელემენტების გაუთვალისწინებლად, ამავედროს შეუძლებელია ელემენტების, ერთეულების ცნიერებაში გადასვლა მათ შეუთხუზველად, მათ გაურთულებლად. მარქსი და ენგელსი მიუხედავად პროგრესის და ევოლიუციის მსვლელობისა ურთულეს და მეტათ კონკრეტულ სოციალურ მოვლენას ყველა თავის უამრავ ძალებით ასადავებენ უკიდურესად და ერთადერთ ძალას — წარმოებით ურთიერთობას ხდიან სოციალურ და ისტორიულ განვითარების ალფად და ომეგათ; ეს უზარმაზარი პრიმიტივიზმი და სიმპლისტური აბსურდი შედეგია არა მათი კვლევა ძიების, არამედ მათი გეგელიანიზმის. გეგელის სხემატიური ტრიადის, გეგელის და ყველა მონისტების დუალიზმის მონიზმში განვითარების. ატავიზმი ყველგან მოქმედობს და მარქსის ისტორიული კონტეპციაც გეგელიანიზმის ატავიზმია. აბსოლიუტური ობიექტივიზმის მონისტური მატერიალიზმი საზოგადოთ—კერძოთ ეკონომიური მონიზმი მარქსის შეუძლებელია ბუნებაში და შემცდარია თეორიაში იმიტომ, რომ ობიექტი უსუბიექტოთ ფილოსოფიური ინდიფერეტიზმია (გაურჩევლობა), მონისტური მატერიალიზმი გლახად დაფარული დუალიზმი და კომპრომისია მეტაფიზიკას და მემეცნიერების შორის, ეკონომიური მონიზმი კი სიმპლიციზმია სოციალურ ფილოსოფიაში და მეცნიერებაში შეუძლებელი ამორფიზმია, და იმიტომ რომ, თუ ცნიერება, შეგნება არ არის, არ არის ეკონომიური აქტიც, თუ პსიპოლოგია არ არის ისტორიაც და vice virsa—ისტორიული სცენა არსებობს, მაშინ თუ მომქმედი პირები და მაშასადამე შემგნები პირები არსებობენ.

გავარჩიოთ ეხლა მარქსი'ს კლასსიკური განსაზღვრა ნაწილ-ნაწილად.

მარქსი ამბობს (I განს. 1 წინად.), რომ ადამიანების წარმოებითი ურთიერთობა დამოუკიდებელია მათ სურვილისაგან. მარქსს უნდა დეტერმინისტი იყოს და აგრეთვე მატარიალისტი, მაგრამ პირველის გამოთქმა ვერ მოუხერხებია და წმინდა მატერიალისტობის მაგივრად წინდა დუალიზმში ჩავარდნილა, იმიტომ რომ პსიხოლოგიური დეტერნიზმი ან არ ჰქონდა გათვალისწინებული ან როცა ამ წინადადებას თხზავდა, არ ახსოვდა ამ დეტერმინიზმზე. ამ დეტერმინიზმის სერიის წევრები გადასხმული არიან ისე, რომ წინა წევრი უკან არის მომოქცეული და უკანა წინ. არისტოტელს მიაწერეს, რომ ვითომ მას გამოეთქვას აზრი რომელითაც nihil est in intelectu quod non prius fuerit in sensu, ე. ი. იყსეთი არაფერი არ არის გონებაში, რომელიც, ჯერ გრძნობაში არ ყოფილიყოს, ჩვენ კი ჩვენი მხრით ვიტყვით, რომ nihil est in actu quod nonprius fuerit in intelectu ე. ი. არაფერია ისეთი მოქმედებაში, რომელიც უწინ არ ყოფილიყოს ფსიხიკაში). პირველი წინადადება უმეორეისოდ შეუძლებელია, თუ გვინდა რომ დეტერმინიზმი სრული და სწორი იყოს. აქ ადგილი არ გვაქვს პსიხიურ მექანიკაზე ვრცლად ვილაპარაკოთ; ვიტყვი მხოლოდ, რომ იმისთვის რომ მოძრაობა წარმოიდგინოს კაცმა, საჭიროა ორი სივრცეში განშორებული წერტილი მაინც. ერთ წერტილში მოძრაობა არ შეიძლება. ერთი სიტყვით მოძრაობა უსივრცოთ შეუძლებელია; იმისთვის რომ დეტერმინიზმი და კარგად შეგნებული (და არა ანტროპომოფისტული) მიზეზობრივობა არსებობდეს, საჭიროა ცვალებდი წრე (среда) და ცვალებადივე ინდივიდი. თუ რეფლექსია (отраженіе) არსებობს, არსებობს რეფლექტორიც ზეწარი აღჩნევისა (Поверхность воспріятія), თუ შთაბექდილება არსებობს, არსებობს აგრეთვე ორანიზმი რომელზედაც ეს შთაბექდილება აღიბექდება. ერთი მხრით არსებობს წრე, მეორე მხრით ნერვეული და ტვინის ორგანიზაცია. წრე მოახდენს შთაბექდილებას ცენტრიპეტული ნერვების საშვალებით—ოპტიკურ, საყნოს სასმენ და სხვა მოძრაობას, რომლებიც ამ ნერვების საშვალებით გადაეცემა ტვინს, რომელიც ამ შთაბექდილებას დაამუშავებს; ერთი საგნის შესახებ ათასნაირი აზრები შეითხზებიან, ზოგი აზრები წინააღმდეგ და ზოგი არა. ამ ერთი საგნის თავობაზე ორი:—ერთი უარყოფით, და ერთი დათებითი-აზრების ჯგუფია. ამ ორ ჯგუფს ასრებისას მათ უკანასკნელ ანგარიშში ორი სწორ მომქმედი (равнодѣйсвующая) აქვთ, როგორც ნაყოფი ორი პსიხიურ შერჩევის (подборъ). როდესაც ამ ორ პსიხიურ შერჩევათა ნაყოფები ილტვიან გახდნენ ერთად-ერთი, მაშინ არის ას პსიპიური მომენტი, რომელსაც არჩევანს (выборъ) ეძახიან; როდესაც ერთი ამ პსიხიურ შერჩევათა ნაყოფი გადააჭარბებს მეორეს და დაიჭერს ორივეს ადგილს, აი ეს შეიქნება ის უმძლავრესი აზრი, რომელსაც ჰქვია ნება (воля). ცხადია, რომ აქაც მოქმედებს ის პრინციპი, რომლითაც მოძრაობა სწარმოებს მხოლოდ ნაკლები დაბრკოლებისა და უდიდესი ძალიდან. ეს უკანასკნელი პრინციპი კი ცხადად გვიჩენებს, რომ პსიხიკა თვით ეკონომიური (არა მარქსისტურად გაგებულ) ე. ი. ნაკლები ენერგიის ხარჯით მეტის ნაყოფის მიღება, ეკონომია არის, მაშასადამე არცარავითარი ეკონომიური მონიზმი არ არსებობს თვით ეკონომიაში. ამას გარეთ ჩვენ ვხედავთ, რომ ნება, როგორც ერთი მექანიკური მომენტი მატერიის მოძრაობის სერიაში არის ერთი წევრთაგანი დეტერმინისტულ სერიის. ის ამას-

თანავე წარმოადგენს გეომეტრიულ სხემას, პროექციას იმ მოქედებისას, რომელიც ცენტრი ფუგური ნერვების საშვალებით გადაეცემა ორგანიზმის პერიფერიებს, რომლებიც მას მოქმედებათ აქცევენ. აქედან კი სჩანს ის რომ ნება არა თუ განსაზღვრულია, არამედ თავის რიგზე აქტის, მოქმედების გამნსაზღრელია მაშასადამე ნება არის მოქცეული თვით დეტერმინიზმის სერიაში და არა გარეშე ამ სერიასა ან ბოლოში. ის განსაძღვრულიცაა და გამსაზღვრელიც. მის გამსაზღვრელებს აქვს მნიშვნელობა მხოლოდ მისი საშვალებით და არა უმისოდ. ის როგორც ფენომენი იმავე რიგისაა, როგორც მისი გამსაზღვრელები, ის იმნაირადვე მატერიალური და ეკონომიურია როგორც სხვები, და მასზე არავითარი მატერიალისტური მონიზის დამყარება არ შეიძლება. აქტი და თვით ეს პსიხიური შერჩევაც ორივე არიან მოძრაობანი ნაკლები დაბრკოებისკენ და უდიდესი ძალიდგან მიმართული, ამიტომ ისინი, როგორც მექანიკა მატერიალურ ნაწილებისა არიან ერთნაირად მექანიკური, ერთნაირად ეკონომიური.

მარქსი დუალიზმში ვარდება იმიტომ, რომ წარმოებით ერთიერთობებს სახავს, როგორც მატერიალურს, და ადამიანის სურვილს და ნებას კი როგორც ილიუზიას და უტოპიას, რომელსაც არ აქვს მნიშვნელობა და არსებობს კი. არ შეიძლება ისეთი არსებობა თომელსაც მნიშვნელობა არ ჰქონდეს და თუ ეს შესაძლეშელია, მაშინ მეტაფიზიკა და დუალიზმიც ორივე შესაძლებელი იქნებიან.

სურვილი რთული პირობების ნაწარმოებია და აქტი სურვილის ნაწარმოებია—და თუ შეიძლება ისეთი მოვლენა, სადაც მწარმოებელი მნიშვნელოვანია და ნაწარმოები უნმიშვნელო, მაშინ შესაძლებელია არსებობდეს ისეთი გეომეტრიული წრე, რომელსაც წრე გულის ადგილს ჰქონდეს და გული წრის ადგილას, რადგან მაშინ წრე აღარ იქმნება სხივის (радіусъ) ფუნქცია, ნაწარმოები. თუ შეიძლება ისეთი მატერიალიზმი, რომელიც ტოვებს მეტაფისიკურ „უფსკრულებს» ბუნებაში და სივრცეში, თუ შეიძლება ისეთი აბსურდი, რომელიც ჭეშმარიტება იქნება, მე ამ ჭეშმარიტებისკენ ვიქნები.

შ. გ.

---

## ახალგაზდათა მიმართ

პ. კ—ნისა.

### II

თუ თქვენ ათავებთ იურიდიულ მეცნიერებათა კურსს, შესაძლეპელია, თქვენც განუხორციელებელ ოცნებით იტკბობდეთ თავს თქვენი მომავალი მოღვაწეობის შესახებ—ჩვენ ხომ გამოვსთქვით კიდეც აზრი, რომ მოყვასის სიყვარული, ალტრუიზმი არ უნდა იყოს თქვენთვის უცხო. იქნება თქვენს ოცნებას შეადგენს ის რომ თქვენი სიცოცხლე შესწიროთ სასტიკ ბრძოლას ყოველგვარ ძალმომრეობასა და უსამართლობასთან; რომ იმუშაოთ იმ კანონის გამარჯვებისათვის, რომელშიაც გამოსახულია უმაღლესი სამართლიანობა.

“სადღა უნდა ვეძიოთ“ ფიქრობთ თქვენ, „უკეთესი სარბიელი“,—და ცხოვრებაში პირველ ბიჯსა სდგამთ თქვენგან არჩეულ მოღვაწნობის და თქვენი თავისვე რწმენით შეჭურვილი.

გადავშალოთ უცაბედად სასამართლოს მატიანე და ვნახოთ, რა მოგელით თქვენ.

აი მდიდარი მემამულე; ის ითხოვს რომ მის მიწიდან გააგდონ გლეხი, რომელიც არ აძლევს მას შეპირებულ ღალას. კანონის მხრით ხომ არავითარი ეჭვი არ არის: რაკი გლეხი ღალას არ იძლევა, უნდა თავი დაანებოს მიწას. მაგრამ თუ ჩავუკვირდებით საგანს, აი რას ვნახავთ: მემამულემ თავისს სიცოცხლეში ის-ღა იცოდა, რომ ქეიფში დაეხარჯა თვისი მამულის შემოსავალი, მაშინ როდესაც გლეხი მუდამ-დღეს მუშაობდა და ხშირად მას საკვებიც არ ჰყოფნიდა, მემამულეს ხელიც არ გაუბერტყნია, რომ მიწის ნაყოფიერებისათვის მიემატებინა; ამის და მიუხედავად კი მისი შემოსავალი უკანასკნელ თხუთმეტი წლის განმავლობაში გასამკეცდა იმ **მიმატებულ საფასის** გამო, რომელიც მიწამ შეიძინა იხალი რკინის გზის, გაყვანის ტბების გაშრობის, ყამირ მიწების დახვნისა და მეზობელ ქალაქის გაფართოვების წყალობით. გლეხი კი, რომელიც ასე ძლიერ მუშაობდა მიწის საფასის გასადიდებლად, სრულიად გაღატაკდა: მოუსავლობის გამო ის ჩავარდა ჩარჩების კლანჭებში, ყელამდის ვალებით აივსო და ღალის მიცემა აღარ შეუძლია. კანონს ყოველთვის მემამულის მხარი უჭირავს და ამ შემთხვევაშიაც ფორმალურადაც მისს სასარგებლოდ ღაღადებს. მაგრამ თქვენ, უკეთუ იურიდიულ ფიქციებმა არ აღმოფხვრეს თქვენში სამართლიანობის გრძნობა—რას მოიქმედებთ? მოითხოვთ, რომ გლეხი სარჩო-საბადებელით ქუჩაში იქმნას გამოგდებული რასაც თხოულობს კანონი; თუ მოითხოვთ, რომ მემამულემ დაუბრუნოს გლეხს მთლად ის ნაწილი მიმატებულ საფასისა, რომელიც შესძინა მიწას გლეხის განუწყვეტელმა შრომამ?—ეს ხომ ასე უნდა იყოს სამართლით. რის მხარეს დაიჭერთ? კანონის მხარეს, სამართლიანობის წინაალმდეგ? თუ სამართლიანობის მხარეს და მაშასადამე კანონის წინაალმდეგ?

უკეთუ მუშებმა პატრონს არ აცნობეს ორი კვირის წინ და გაფიცვა მოახდინეს—მაშინ ვის გამოესარჩლებით? კანონს, ე. ი. მეფაბრიკეს, რომელმაც კრიზისით ისარგებლა და შეიძინა დიდი მოგება,—თუ თქვენ წინ აღუდგებით კანონს და მიემხრობით მუშებს, რომელნიც იღებდნენ ექვს შაურს დღეში და ნახევრად დამშეულები იყვნენ. მოისურვებთ თქვენ მხარი დაუჭიროთ ყალბ წარმოდგენას—ფიქციას, ვითომ თავისუფლად შეკრულ პირობას? თუ თქვენ, უბრალო სამართლიანობის მიხედვით, იტყვით, რომ პირობა, დადებული მაძღარსა და მშიერს შორის, ღონიერსა და სუსტს შუა, პირობა კი არ არის, არამედ ძალდატანებაა, და წინაღუდგებით კანონს, რადგანაც დარწმუნდებით, რომ ის აქ, როგორც ყოველგან, სამართლიანობას ღალატობს?

ან, აი კიდევ ფაქტი, რომელიც მოხდა ამ დღეებში. ერთი ვინმე მიდიოდა საყასბოს ახლოს, სტაცა ხელი ხორცს და გაიქცა. ის დაატუსაღეს, დაუწყეს გამოკითხვა. აღმოჩნდა რომ ის მუშაა, სამუშაოს მოკლებული, რომ ის და მისი ოჯახობა ულუკმა-პუროდ გდიან და შიმშილით კვდებიან. უცბად შეგროვილი ბრბო სთხოვდა ყასაბს გაეშვა ეს ადამიანი, მაგრამ ყასაბს სურდა, რომ „კანონს გაემარჯვა“. ქურდი წაათრიეს სასამართლოში და მოსამართლემ მიუსაჯა მას ექვსი თვის განმავლობაში დაპატიმრება სატუსაღოში. ამას მოითხოვდა უსინათლო თემიდა?—და თქვენი სინდისი არ აღშფოთდება კანონით, მთელი საზოგადოების წინაალმდეგ, იმისი მაყურებელი, რომ სასამართლო ყოველ დღეს ამგვარ განჩინებას არდგენს!

ან კიდევ—ნუ-თუ თქვენ დაჟინებით მოითხოვთ კანონით დასჯას იმ „მკვლელისას“, რომელსაც პატარაობიდანვე ავიწროვებდნენ, სცემდნენ, შეურაცხჰოფდნენ და რომელიც ისე გაიზარდა,

რომ არავისაგან არას დროს ალერსი არ უნახავს და იმით გაათავა, რომ მოჰკლა მეზობელი, მოჰპარა მას ხუთ მანეთი? ნთ-თუ თქვენ დაიწყებთ ყვირილს, რომ იგი უნდა დაისჯოს, ან, რაც კიდევ უფრო უარესია — რომ იგი უნდა დამწყვდეულ იქმნას საკატორღო საპატიმროში მაშინ როდესაც თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ის უფრო ავადმყოფია, ვიდრე დამნაშავე და რომ მის საქციელში დამნაშავე უფრო საზოგადოებაა, ვიდრე იგი თვითონ!

მოითხოვთ განა თქვენ, რომ დამწყვდეულ იქმნან ციხეში ფეიქრები მხოლოდ იმისათვის, რომ სასოწარკვეთილებით მათ გადასწვეს ფაბრიკა? რომ გაიგზავნოს კატორღაში რევოლიუციონერი, რომელმაც ესროლა გვირგვინოსან კაცის-მკვლელს? რომ ჯარებმა ესროლონ ხალხს იმ დროს, როცა იგი ბარიკადებზე მომავალ ახალ ცხოვრების დროშას არჭობს? არა, და არა!

თუ თქვენი გონებით მსჯელობთ და არა მარტო იმეორებთ მას, რაც გასწავლეს; თუ თქვენ ჩაუფიქრდებით საბუთებს და განაშორებთ კანონებს ფიქციებისაგან, რომელიც თავმოყრილია კანონის თაყვანის მცემლებისაგან იმისათვის, რომ დაჰფარონ კანონის დედა-აზრი და მისი წარმოობა ძლიერის უფლებისაგან, ე.ი. უთ კანონი აღმოჩნდება, როგორც ყველა უსამართლოების დაცვა, რომელიც კაცობრიობისათვის სამკვიდროდ დაუტოვებია მისს სისხლით აღსავსე და შავ-ბნელ ისტორიას, თქვენ აუცილებლად ძლიერ შეგეზიზღებათ ეს კანონი. თქვენ მიხვდებით, რომ დაწერილი კანონის მორჩილება არის უარყოფა სამართლიანობის კანონისა და ამტკიცებს მას, რომ ღალატობთ თქვენს სინდისს. მაგრამ ამგვარი ბრძოლა დიდ ხანს ვერ გასტანს ადამიანში. ან სრულებით ჩააყუჩებთ თქვენ სინდისს, ან სრულებით უარყოფთ ძველთაგან გარდმონაცემს, შემოგვიერთდებით და ჩვენთან ერთად იბრძოლებთ ყოველგვარ ეკონომიურ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ უსამართლოების დასათრგუნავად.

მაგრამ მაშინ თქვენ გახდებით სოციალისტი, თქვენ გახდებით რევოლიუციონერი.

თქვენ კი, ახალგაზრდა ინჟინერო ან მექანიკოსო, რომელნიც ოცნებობთ მეცნიერების საშვალებით გაუმჯობესებულ მრეწველობით მუშების ბედის მოწყობას—რამდენი იმედი გაგიცრუვდებათ მომავალში! თქვენ, მაგალითად, თქვენს ნორჩს ღონეს ალევთ რკინის გზის პროექტის შემუშავებას,—იმ რკინის გზის, რომელმაც უნდა გაარღვიოს კლდეები, გაიაროს ხეობები და შეაერთოს ორი ხალხი, ბუნებისაგან გაყოფილი. ეს არის, ხომ, თქვენი ნატვრა. მაგრამ, როგორც-კი დაიწყება მუშაობა, თქვენ დაინახავთ ბნელ გვირაბებში მრავალ ყოველგვარ ავადმყოფობისაგან დახოცილებს, და სხვა მუშებს, მუაობის რმლებიც შემდეგ ბრუნდებიან სახლებში გროშებით გატენილ ჯიბეებით და ფილტვების ჭლექის ნიშნებით; თქვენ დაინახავთ გვამების ხროვას, შექმნილს საზიზღარ ძუნწობით განთქმულ კაპიტალისტების მიერ. როგორც-კი გზა გაყვანილი იქნება, თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს გზა ან მთელი ოლქის გლეხებს სრულიად გაალატაკებს, ან მტერს შეაძლებინებს ადვილად ზარბაზნების შემოტანას.

ან იქნება თქვენ ახალგაზრდობას ალევთ იმისთანა გამოგონების აღმოსაჩენად, რომელიც, თქვენის აზრით, მომავალში გუადვილებს კაცობრიობას საჭირო ნივთების წარმოებას და ბევრი უძილო ღამეების, აღელვების და იმედების შემდეგ თქვენ, ბოლოს, მიზანს მიაღწიეთ. თქვენი აღმოჩენა საუკეთესოა. მას მრეწველობაში ხმარობენ, თქვენ ხედავთ, რომ მისს შედეგს თქვენი ოცნება ვერც კი წარმოიდგენდა! ათი, ოცი ათასი მუშა ერთბაშად გამოყრილია ქუჩაში ფაბრიკებიდან. ფაბრიკებში დარჩნენ მოხუცები და ბავშვები; უკანასკნელნი გადააქციეს მანქანებათ; ათასი ოჯახი დარჩენილია ულუკმაპუროდ, მაშინ როდესაც სამმა, ოთხმა მეფაბრიკემ შეჰმატეს თავისს ქონებას. ღვინო ბლომად იხარჯებოდა იმათ ნადიმებზე... ნუთუ ეს გინდოდათ თქვენ?

მაშინ, იქნება, თქვენ შეუდგებით თანამედროვე მრეწველობის ისტორიის შესწავლას და შეიტყობთ, თუ რამდენად ნაკლებ ახლანდელ წესების წყალობით მანქანები აუმჯობესებენ მუშის მდგომარეობას. თქვენ დაინახავთ, რომ მკერვალმა-ქალმა ვერაფერი ვერ მოიგო საკერავ მანქანის გამოგონებისაგან: იგივე უწყალო მუშაობაა, იგივე ზრუნვაა ლუკმა-პურის შოვნისათვის. იმისდა მიუხედავად, რომ ახლა გვირაბების გაყვანის დროს ხმარობენ გაუმჯობესებულ ალმასის-თავებიან ბურღებს, მუშები მაინც უფრო იხოცებიან ანკილოზიტისაგან, (გვირაბის ავადმყოფობისაგან); კალატოზები კი და უბრალო მუშები სხედან სამუშაოს მოკლებულნი ქირარის ასაწევ მანქანების გვერდით და სხვ. და სხვ.

უკეთუ თქვენ დაიწყებთ საზოგადო კითხვების გარჩევას ისევე დამოუკიდებლად, როგორათაც თქვენ მუშაობდით საინჟენერო საქმეში, თქვენ მაშინ მიხვდებით, რომ კერძო საკუთრების და დაქირავებულ შრომის არსებობის დროს, ყოველ ახალ გამოგონებას, ოდნავადაც თუნდ რომ ეს გამოგონება მუშების ბედ-იღბალს აუმჯობესებდეს მოსდევს უსათუოდ აუარებელი ტანჯვა ადამიანების და ერების ჯგუფებისათვის, რომ ეს გამოგონება აუცილებლად ჰმატებს წმინდა შრომას და ვნებს ხელოსნურს, იგი სამრეწველო კრიზისებს ახშირებს და ამწვავებს, რაც საშინელი შედეგი მოაქვს მუშების აუარებელ რიცხვისათვის. უმთავრესს სარგებლობას ახალ გამოგონებათაგან ის ხედავს ახლანდელ წესწყობილების დროს, ვისაც ისედაც ცხოვრებაში წილად ხვდა განცხრომა და სიტკბოება.

რაღას მოიმოქმედებთ თქვენ, რაკი ამ დასკვნას დაადგებით? ორში ერთი უნდა აირჩიოთ. ან სინიდისს ჩაიყუჩებთ სხვა და სხვა ხრიკიან მსჯელობით და თანდათან ახალგაზრდობის პატიოსან ოცნებას გაიქრობთ, დაიწყებთ „მომგებიან ადგილის“ ძებნას და ჩაირიცხებით გულ-ახდილ მჩაგვრელთა შორის. ან და—თუ თქვენ ხართ პატიოსან და ძლიერი ხასიათის მქონენი,—ეტყვით თქვენ თავს: „არ არის დრო ახლა გამოგონებათა შესახებ მეცადინეობისა. უპირველესად ყოვლისა საჭიროა შრომის და წარმოების წესები შეიცვალოს. როდესაც კერძო საკუთრება მოისპობა, მაშინ ყოველ ახალ ნაბიჯს მრეწველობის წარმატებაში მოჰყვება მთელი კაცობრიობისათვის სარგებლობა. მაშინ ყველა ეს მუშები, რომელნიც ახლა მანქანებათ არიან გადაქცეულნი, გახდებიან მოაზრე და მცოდნე პირებათ, მაშინ უფრო დიდი ასპარეზი დაუდგება გამომგონს, რომელიც უფრო იქნება შეჭურვილი სამეცნიერო ცოდნით და გაწვრთნილი ხელის შრომით. ცხოვრების ახალ პირობების დროს ტეხნიკა ისე სწრაფად განვითარდება, რომ ნახევარ საუკუნეში განხორციელდება ყველა ის, რომლის შესახებ ახლა ჩვენ არც კი შეგვიძლია ოცნება“.

—

რალა უნდა გითხრათ თქვენ, სკოლის მასწავლებელს?—იმ მასწავლებელს კი არა, რასაკვირველია, რომელიც თავისს მოვალეობას ისე უყურებს, როგორც დამტანჯველ ხელობას, არამედ იმას, ვისაც სწამს სკოლა, ვინც სთვლის თავისს თავს ბედნიერად ბავშვებს შუა და იმათ მომღიმარე სახეების შემყურე იმედს არ ჰკარგავს, რომ მათ ნორჩ პაწია თავებში შეიძლება ჩაუნერგოს საზოგადო—კაცობრიული აზრები, რომელიც ჩანერგილი ჰქონდა მას თვითონ ახალგაზრდობის დროს.

ზოგჯერ მე შემინიშნავს თქვენს სახეზე მწუხარება და მიმხვდარვარ, რა მიზეზით ყოფილხართ წარბ-შეკრული. დღესაც კიდევ, თქვენი საყვარელი მოწაფე,—მართალია ცუდი მცოდნე ლათინური ენისა, მაგრამ მაინც ცქვიტი ბავშვი—გაბრწყინვებული სახით გიამბობდათ ვილჰელმ ტელლის ამბავს, რომელმაც მოჰკლა დესპოტი და აჯანყების დროშა ააფრიალა შვეიცარიაში. იმის თვალები გაბრწყინვალებული იყვნენ; თითქოს, იგი მზად იყო თვითონ დიემხო ძირს ყველა დესპოტები. იგი აღტაცებით იმეორებდა შილლერის ლექსს:

ნუ გეშინია ბორკილების დაამსხვრევ
მონისა,
ნუ გეშინია თავისუფალ ადამიანის.

მაგრამ—დაბრუნდა თუ არა შინ მაშინვე დედ-მამამ დაუწყეს ლანძღვა, რატომ შესაფერად არ დახვდი მღვდელს და არ შენიშნე დარაჯიო. მთელ ერთს საათს არიგებდნენ, რომ უნდა ყოფილიყო „ფრთხილი, მომთმენი და მორჩილი“; ასე რომ იგი იძულებული იყო გადაედო შილლერი და ეკითხა „ხელოვნება ცხოვრების გზის გაყვანისა“.

თქვენ-კი გუშინ გიამბობდნენ, რა გამოვიდა თქვენს საუკეთესო მოწაფეებისაგან. ყველამ გადაუხვია ნამდვილ გზას. ერთს მხოლოდ ეპოლეტები ელანდება, მეორე ალასთან ერთად ჰპარავს მუშებს; მესამე ეძებს თბილ ადგილს. თქვენ, რომელსაც თქვენი საყვარელი მოწაფეებისა ამდენი იმედი გქონდათ, ახლა მწუხარებით ფიქრობთ, თუ რა დიდი მანძილია ცხოვრებასა და კეთილ განზრახვათა შუა.

დიახ! ჯერ-ჯერობით თქვენ კიდევ გაინტერესებრ ამგვარი ტემები; მე კი, ვფიქრობ, რომ ასე ორი-სამი წლის შემდეგ ბევრ-იმედ გაცრუებული, თქვენ საყვარელ მწერლებს უკუ აგდებთ და დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ვილჰელმ ტელლი, რასაკვირველია იყო შვილების მოყვარული მამა და იმიტომ ეშინოდა ისრით არ დაეჭრა თავისი შვილი; მაგრამ ის მაინც და მაინც ძალიან აჩქარდა; რომ პოეზიის კითხვა ძალიან სასიამოვნოა ბუხრის წინ მეტადრე იმის შემდეგ, როდესაც მთელი დღე მოანდომეთ რთულ პროცენტების წესების სწავლებას, მაგრამ მაინც და მაინც უფალი მგოსანნი მაღლა ცაში დანავარდობენ და ამიტომაც მათს ლექსებს ყოველდღიურ ცხოვრებასთან არა აქვთ რა საერთო, მეტადრე ბატონ ინსპექტორისაგან სკოლის მომავალ რევიზიასთან. აი ამიტომ კიდეც თქვენი შილლერი და ნეკრასოვის წიგნები თახჩაზე ჰყრიან მტვრითა და აბლაბუდებით შემკობილნი, ან კიდევ—ეს ყველას ემჯობინება—ახალგაზდობის ოცნება გარდაგექცათ თქვენ მომწიფებულ ადამიანის რწმენად. თქვენ მოისურვებთ, რომ ყველას, განურჩევლად გაუადვილდეს ფართო საზოგადო კაცობრიული განათლების მიღება სკოლაში და სკოლის გარედ, და როდესაც დარწმუნდებით, რომ ეს შეუძლებელია დღევანდელ პირობებში, თქენ დაუწვებთ თვით ახლანდელ ბურჟუაზიულ საზოგადოებას შინაარსის გარჩევას.

მაშინ, ეჭვს გარეშეა, თქვენი სურვილის წინააღმდეგ დაგითხოვენ სამსახურიდან. თქვენ დასტოვებთ სკოლას და მოგვაშურებთ ჩვენ, რომ ჩვენთან ერთად ხალხს ებაასოთ იმ მაღალ სიამოვნებაზე, რომელიც მოსდევს მეცნიერულ ცოდნის შეძენას, იმ საგანზე, თუ რა მოელის კაცობრიობას და რად უნდა იქცეს, საითკენ მიისწრაფვის, და რა უშლის მას თავისუფლების, ჭეშმარიტ დღეობის და ბედნიერების მოპოვებაში. თქვენ მაშინ სოციალისტების რიცხვში ჩაიწერებით და ჩვენთან ერთად იმუშავებთ ახლანდელ საზოგადოების სრულ გადაკეთებისათვის იმ გეგმით, რომ დაამყაროთ თანასწორობა, თავისუფლება და ძმობა, რომ სრულიად მოსპოთ ის სიდამპლე და ხავსი, რომელიც უფუჭებს ადამიანს საუკეთესო მხარეებს და სწყვეტს მისი გულის სიმებს.

—

თქვენ შეიძლება იყვეთ ახალგაზრდა მხატვარი, მექანდაკე, პოეტი ან მემუსიკე. არ ატყობთ, განა რომ თქვენ და თქვენ ამხანაგებს ის ცხოველმყოფელი შემოქმედების ნიჭი გაკლიათ, რომელიც ასულდგმულებდა წარსულში განთქმულ დიდ მგოსნებს, მხატვრებს და მექანდაკეებს? ნუ თუ ვერ შენიშნეთ, რომ ხელოვნება გაირყვნა, რომ ყველგან მეფობენ საცოდავი საშუალო ნიჭის პატრონნი, რომელნიც ღუპავენ ნამდვილ ნიჭს?

როგორ უნდა მომხდარიყო სხვანაირად? ის ღრმა ბედნიერება, რომელსაც ჰგრძნობდნენ **განახლების** დროის მხატვარნი, როდესაც მათ აღმოაჩინეს ძველი ქვეყნიერების საუნჯენი და თვით განახლდნენ ბუნებასთან დაბრუნების გამო, ის ბედნიერება აღარ არსებობს თანამედროვე ხელოვნებისათვის! ახალი კი, სასწაულთ-მომქმედი იდეა—იდეა ქვეყნის რევოლიუციონური გამოღვიძებისა—ჯერ კიდევ შორს არის მხატვრისაგან. ამიტომაც ამ იდეას, ამ დიად მიზეზებს მოკლებული ხელოვნება დაეძებს თავისთვის საგნებს ეგრედ წოდებულ რეალიზმში და დიდ ჰაპან-წყვეტაში არის, რომ დახატოს ცვარი ხის ფურცელზე ან ძროხის ძარღვები, ან სხვა წვრილმანი რამ, დასწეროს უაზრო ლექსი ან პროზა, ან ასწეროს ნარეცხის ყასასხმელ ორმოს სულის შემხუთველი სიბინძურე, ანდა მსუბუქ ყოფა-ქცევის ქალბატონის საწოლ ოთახის მოწყობილობა.

—თუ ეს ასე არის მაშ რა უნდა ექნათ? იკითხავთ თქვენ.

პასუხი ჩვენი უბრალოა. თუ თქვენი „სჭმლვთო“ ცეცხლი სხვას არაფერს წარმოადგენს, გარდა რამე ასანთებ გამურულ ლამპრის ალისა, მაშინ, რასაკვირველია, განაგრძეთ ის, რასაც აქამდის აკეთებდით და თანდათან თქვენი ხელოვნება იმაში გამოხატება, რომ თქვენ რომელსამე მდიდარს ვაჭარს დაუხატავთ სახლში კედლებზე სხვა და სხვა სურათებს, დასწერთ ოპერტებისათვის პაწია ლექსებს, ან დაემსგავსებით „გამოჩენილ ცქვიტ კალმის პატრონს“, მეფელეტონეს. ბევრი თქვენგანი უკვე დაადგა კარგა ხანია ამ გზას.

მაგრამ თუ თქვენი გული მართლაც ჰფეთქს მთელ კაცობრიობის გულთან ერთად, თუ თქვენ, როგორც ჭემარიტ პოეტს და მხატვარს შეგიძლიათ შენიშნოთ და შეიგნოთ **ნამდვილი სიცოცხლე,** მაშინ თქვენ ვერ შესძლებთ, რომ გულ-გრილად უყუროთ იმ ტანჯვის ზღვას, რომელშიაც ილუპება სიმშილისაგან ღონე-მილეული აუარებელი ხალხი, ქვის ნახშირის მაღაროებში და ბარიკადებთან დასახიჩრებულთა და დალუპულთა გვამებს, იმ „უბედურთა“ გოდებას, რომელნიც ილუპებიან ციმბირის

თოვლში ან ტროპიკულ კუნძულების შეტრუსულ ნაპირებზე თქვენ ვერ შესძლებთ გრულ-გრილად უყუროთ ყველა ამას იმ საოცარ ბრძოლის შმეხედვარე, რომელიც დაიწყო ყოველგან და რომელსაც მოყვა დამარცხებულთა ვაება და გამარჯვებულთა ზარ-ზეიმი, იმ თავზედ ხელ აღებულ ბრძოლის შემხედვარე, რომელიც გმირობამ გამართა ყოველივე სიცუდის და გარყვნილების წინაალმდეგ.

თქვენ ამოუდგებით გვერდში დავრდომილთა და შეურაცხყოფილთ! თქვენ შეიგნებთ, რომ ყოველივე დიადი და მშვენიერი, ერთი სიტყვით სიცოცხლე არის იქ, სადაც იბრძვიან სინათლის, ბედნიერების, ჭეშმარიტებისა და კაცობრიობისათვის!

თქვენ მაჩერებთ..—რა უნდა გავაკეთოთ, გვითხარით? თუ განყენებული მეცნიერება— ფუფუნების საგანია, პრაქტიკული კი—დაჩაგვრის სალსარი; თუ კანონი სხვა არაფერია, გარდა უსამართლობის განხორციელებისა; თუ მკუხნალობა—თავის მოტყუებაა; თუ სკოლა უნდა დამარცხდეს ცხოვრების პრაქტიკასთან ბრძოლაში; ხელოვნება კი, რევოლიუციონურ მადლს მოკლებული, უნდა გაირყვნას — რაღა დაგრჩენია მაშ გასაკეთებლად?

— რა დაგვრჩენია? — ყველაფერი! ყველაფერი! ყველაფერი! უშველებელი სამუშაო გიძევთ წინ—სამუშაო მეტად გულ-წარმტაცი, რომელიც თქვენ სინიდისს არ ეწინაღმდეგება და რომელსაც შეუძლია გაიტაცოს საუკეთესო, წმინდა და მძლავრი პირები...

რა სამუშაო?—აი ახლა დაინახავთ.

---

## როგორ უნდა მოვრიგდეთ?

ორი უზარ-მაზარი, გიგანტიური ძალა იბრძოდა ურთი ერთის წინაადმდეგ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში.

განსაკუთრებით საქართველოში გამოიხატა ეს ბრძოლა უფრო მკაფიოდ, უფრო მძლავრად, უფრო იდეიურად, უფრო ღრმად.

ჩვენ ამას ეროვნული თავ-მოყვარეობა არ გვალაპარაკებს. ეს ფაქტია, რომელსაც არ უარ-ჰყოფს არც ერთი ნამდვილად საქმის ვითარების მცოდნე და თვალ-ყურის მდევნებელი ჩვენში დაწყებული და შინაარსიანად განგრძობილ რევოლიუციისა. მაშინ როდესაც რუსთა უმეტესი ნაწილი ჩვენში ხულიგანების ბრბოს შეადგენდა, მაშინ როდესაც სომხები და თათრები ურთი ერთზედ ხმალ-ამოწვდილნი და თოფ-მოღერებულნი იერიშით მიდიოდენ, მაშინ როდესაც კავკასიის ბევრი ხალხი არც კი იღებდა სრულიად არავითარ მონაწილეობას რევოლიუციაში, -ჩვენი ხალხი თავისი მაღალი აღფრთოვანებით ამირან-გმირივით ანადგურებდა ძველს და თავისი აღგზნებილი შემოქმედებით საფუძველს უყრიდა სანეტარო „ერთობას“.

და მაშინ როდესაც ამ ერთობის ტკბილი და ძლიერი გალობით მოცული იყო მთელი ჩვენი ქვეყნის არე-მარე, როდესაც ამ ერთობის ძალით ხალხმა გამოაცხადა თავისუფლება და თავისუფალი ორგანიზაციის პრინციპი, როდესაც მან სამსჯავრო, სამღვდე-ოება, თავად-აზნაურთა და ბურჟუაზიის პრივილეგიები სასასირცხო უღლად მიიჩნია და გადმოიგდო იგი მრავალ ტანჯულ და შრომისაგან დაღარებულ ქედიდან, როდესაც მან მთელი საუკუნოებით განმტკიცებული სახელმწიფოისა და საკუთრების პრინციპები ფეხით გასთელა და უკვე მზად იყო შესდგომოდა სრულიად ახალი, თავისუფალი და ღირსეული ცხოვრების დაწყებას, — მაშინ უკვე ნელ-ნელა იკრიბებოდა და ძლიერდებოდა ჩუმად, ქურდულად, გაიძვერულად საზიზღარი ძალები რეაქციისა,—სამღვდელოებისა, ბურჟუაზიისა, თავად-აზნაურთა, მოხელეთა და სხვათა,—და საკმარისი იყო, რომ მოსკოვის შეიარაღებული აჯანყება დამარცხებულიყო, საკმარისი იყო რომ რუსეთი რეაქციას ჩავარდნოდა კლანჭებში და ჩვენსკენაც გადმოეხედნა მას მრისხანე და სისხლით სავსე თვალით, —რომ აქ გუშინდელი ჩვენი უვნებელნი, ხან „მოყვარე“ თანამემამულენიც დაგვრეოდენ ისეთისავე სისასტიკითა და საშინელ — მხეცურ — პირველ-ყოფილ უდიერობით, როგორც დაგვერივნენ თვით რეაქციის იარაღნი—ჯარი, პოლიცია და „ჩინოვნიკობა“.

ხალხმა ფიცხელი და სასტიკი ომი გამოუცხადა ეკონომიურსა და პოლიტიკურ მონობას, მან გაიმარჯვა და ამაში გამოიხატა მისი რევოლიუციონური სიძლიერე; ხალხის მტრები, ეკონომიურად, და პოლიტიკურად გაბატონებულნი პირველად დამარცხდენ და ზოგი მლიქვნელობით უძვრებოდა გამარჯვებულს, ზოგი მხოლოდ იმალებოდა; როდესაც კი რეაქციის ძალები ისევ შეიკრიბნენ და შავი უზარ-მაზარი ღრუბლებივით წამოვიდენ ჩრდილოეთიდან და წარღვნით წაჰლეკეს ჩვენი ქვეყანა, — მაშინ ქართველი ბატონ-პატრონნიც ქართველი ერისა გაეხვივნენ უსირცხვილოდ სრულიად რუსეთის რეაქციის შავ-ბნელეთში და ყაზახ-რუსებთან ერთად ებრძვიან უკვე ჩამქრალი რევოლიუციის ოდნავმბჟუტავ ნაპერწკლებსაც კი და ლამის გადააჭარბონ ბარბაროსობაში განთქმულ სკვითებს.

ხალხსა და მის ყველა მტერთა შორის ჩვენს ქვეყანაში დიადი ბრძოლა იყო! ერთის მხრით მშრომელი,—მეორე მხრით მდიდარი მყვლეფელი, მთავრობა და სულიერი განმათახსირებელი! პირველმა სძლია მეორედ. რამოდენიმე ხანს პირველი გამარჯვებული იყო,— ეხლა კი მეორეთ დაუდგა ღლესასწაული და ცინიკურად დანავარდობენ ხალხის გულზედ. პირველი ქვეშ არის მოქცეული, ყელში სულმობჯენილი ფართხალობს, ჰლამობს წარმოდგომას, და ოდეს წარმოსდგება, მაშინ რევოლიუცია ახალის, უფრო სასტიკის ძალით იფეთქებს, ულმობელი იქმნება მოპირდაპირისათვის, — განსწავლული პირველი შეტაკების მწარე გამოცდილებით!..

ჩვენთვის ყოველივე არ გათავებულა, არ დაკარგულა, ისე როგორც თქვენთვის,, მტარვალნო, ყოველივე აგრეთვე არ გათავებულა, გამარჯვების ძეგლი სამუდამოდ არ აგიგიათ!

ორი მებრძოლი ძალა ისევ პირისპირ არის, მათი „მორიგების“ საკითხი დღეს იცავს მთელს ჩვენ ცხოვრებასა და მოქმედებას.

რაიო? „მორიგებისაო“?!..—და მხოლოდ ჩვენია ეს კითხვა, ჩვენი გულიდან ამონაკვნესი, აგრეთვე იმ ხალხის გულიდან ყრუდ ამონაკვნესი, — ყაზახ-რუსის ხმლის შიშისაგან უკანვე მსწრაფლად მუცელში ჩაბრუნებული ამონაკვნესი კითხვა,—იმ ხალხის გულიდან, რომელიც სევდისა და ტანჯვის სამართებლით არის დასერილი აი უკვე რამდენი თვეა!

სხვებისათვის კი ეს „მორიგება“ მართლაც საუკეთესო მოქმედების ღერძად გამხდარა. აბა გაიხედეთ, რა ფაცა-ფუცია არჩევნებისა, როგორ გაილვიძეს,— საკვირველია ეს არა კონსტიტუციონალურ ქვეყნებში,—არჩევნების მელებმა და როგორი იდიოტური, საცოდავი და თანაც ვირული სიბრიყვით მიეშურება

ჩვენი ტვინ-კურთხეული ინტელლიგენტი საარჩევნო ურნისაკენ; აბა ჩაიხედეთ მის გულში,—შეიძლება ოცნებობს კიდეც ცხვრის...უკაცრავად სახელმწიფო დუმაში შეძრომას!

ოჰ! მორიგებავ, შენ ხარ მხდალთა ნავთ-საყუდარი! და არა მარტო პარტიათათვის, რომელთაც პრეტენზია აქვსთ ყოველთვის გამოჰხატონ (რასაკვირველია მარტო მათ!) ხალხის ინტერესები, არამედ თვით ხალხისთვისაც, როდესაც მას ძალა აღარ აქვს და ბრძოლაში სისხლით დაცლილი, გრძნობა დაკარგული გულზედ ესვენება გადამკვდარი ყოველ გვარ მომრიგებელ შუამავალთ, რომელნიც ტკბილ-იუდურად ჩასჩურჩულებენ იმედისა და უკეთესი მომავლის სიტყვებს მის მილონებულ სულს!

მორიგება,—როდესაც ხალხს სამი წლის ნაწვავ-ნადაგი რევოლიუცია სისხლის მორევში ჩაუხრჩეს, როდესაც მთელი მისი შემოქმედება ტლანქი ფეხით გასთელლეს უუსაშინელეს ბარბაროსთა მსგავსად!

მორიგება,—როდესაც ხალხი გადასწვეს და გაანადგურეს, სახლ-კარი ცეცხლს მისცეს, ადამიანთა სიცოცხლე ხმალსა და თოფს, დედაკაცთა ნამუსი ზნეობრივსა და ხორციელ წამებას!

მორიგება, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყნის ტყეები ქალთა და ბავშთა კვნესით იყო აღსავსე და ეს საშინელი კვნესა, საშინელი გულ-შემზარავი გმინვა შიშით აძაგძაგებდა თვით გაფხოწილ ხის ტოტებსაც კი შუა-გულ ზამთარში! მორიგება, როდესაც ხალხს სათესლე სიმინდი და პურიც აღარ დაუტოვეს, რომ გლეხს შიმშილისაგან შემდეგში მაინც დაეცვა თავი და თავის ცოლ-შვილი.

მორიგება, როდესაც თავს დაგვტრიალებს მავნე სულივით სიმშილი და შეიძლება რომელიმე გადამდები სენიც, რომელმაც მთელი ერი სამარეში უნდა ჩაასვენოს ერთი თვალის დახამხამებაში.

მორიგება,—როდესაც მთელ დასავლეთ საქართველოში ძნელად მოიპოვება დედაკაცი, რომ შიშისაგან ნერვები არა ჰქონდეს აშლილი და არა ნორმილური არ გამხდარიყოს სულიერად, ან შეიძლება სიფილისიც შეიძინა ქრისტეს მოყვარე ყაზახ-სალდათთაგან.

მორიგება, როდესაც იაპონელის მიერ სირცხვილ ნაჭამევი ლაჩარი პეჩენეგი უიარაღო დედაკაცებზე მამაცობს და ქვევრებსაც აუპატიურებს, ე. ი.-უკაცრავად პატივს აყრის, თუმცა მამადიანი არ არის, არამედ მართლ-მადიდებელი ქრისტიანი, ღვინის და არყის ძლიერი პატივის მცემელი და ხშირად ცხვირ-გაწითლებული თავისი საყვარელი კერპისადმი გადაჭარბებული თაყვანისცემით! მორიგება, როდესაც ხალხის მრავალ წლოვანი ნაამაგარი, ნამუშავარი, ნაღვაწი ერთი თვალის დახამხამებაში, ერთი ხმლის მოქნევითა და ერთი ცეცხლის წაკიდებით მოსპეს, გაანადგურეს და აღგავეს. ჩვენი ქვეყნის მიწის პირიდან, როდესაც თბილისიდან დაწყებული ბათუმამდის მთელი საქართველო ცეცხლ-წაკიდებულია და ცეცხლზედ ხელს ითბობენ ცინიკურად ჩვენი რეაქციონერები, ცეცხლის გამჩენნი კი იდიოტი ნერონივით მძლავრად გაიძახიან მშვენიერსა და ენერგიულ სიტყვებს! თუმცა არ გეგონოთ, რომ ნერონისავით მათაც სლიადის სიტყვები ადგესთ პირზე: ნერონი ტროიას დაწვის ამბავს ჰგალობდა ილიადილან და სიამოვნებდა, როცა ხედავდა თავის სატახტო ქალაქში ავარდნილ ალებს. ცეცხლის ალში გახვეულ საქართველოს კი მე XX საუკუნის ნერონები, მხოლოდ ჩინით უფრო დაბლა მდგარნი, ილიადის მშვენიერ ლექსების მაგივრად სამ-ეტაჟიან სახლურ სიბრძნის სიტყვებს უგალობენ! ფერი ფერს, მადლი ღმერთს!

მორიგება, როდესაც მთელმა ადამიანის ბარბაროსობამ, მთელმა ცინიზმმა გახულიგანებული გამარჯვებულისა, მთელმა სისხლის-მსმელობამ და სისასტიკემ რეაქციისა,—როდესაც ყოველმა საშინელებამ და საზიზღრობამ ჩვენზედ მოიყარა თავი და ლამის ამოვიხრჩოთ ამ ცეცხლში და ტალახში, ლამის სული ამოგვძრეს ინკვიზიტორებისა და მტარვალთა ხელში სირცხვილითა და ტკივილებით, ლამის გავნახევრდეთ ხოცვითა და ციმბირში გადასახლებით!

მორიგება, როდესაც აღარ დაგვრჩა აღარც სიცოცხლე, აღარც ლუკმა პური, აღარც არაფერი, რაიც შეადგენს ადამიანის ცხოვრების უუსაჭიროეს პირობას!

**მორიგება,—როდესაც არამც თუ მორიგება არა სურსთ ჩვენთან, არამედ სრულიად არა სურთ გაიგონ, წარმოიდგინონ, რომ ჩვენცა გვაქვს სიცოცხლისა და ცხოვრების უფლება, როდესაც პირდაპირ, საქმით უარ-ჰყოფენ ამ უფლებას?!..**

ეჰ! მაშ რაღა არის ეს დუმა, რომელსაც თითქმის ყველა „პარტიებმა“ ბოიკოტი გამოუცხადეს ჯერ, და მერე კი კისრის ტეხით გაექანენ [illegible] და ლამის ერთმანეთი გადათელონ, რომელმა მოასწროს ამ თბილ ადგილს შეძრომა,.. ხალხის საკითილდღეოდ რასაკვირველია! რა არის ეს თუ არ **მორიგება?**

აგვიშენებს „დუმა“ გადამწვარ ქონებას, აგვაცილებს თავიდან კარზედ მომდგარ შიმშილს, დაუბრუნებს ახდილს ნამუსსა და ზნეობრივ სისაღეს ჩვენ ქალესა და ქალწულებსა, იმ თავისუფლებას, რომელიც ხალხმა ორი წლის განმავლობაში ბრძოლით მოიპოვა და დაიმკვიდრა, — მოგვაშორებს თავიდან ჯარსა და პოლიციას, ხარჯთ-ამკრეფთა და სამსჯავროებს, ლიპიან მღვდლებსა და ჩარჩებს, ბრწყინვალე თავად-აზნაურთა თავ-აშვებულ ფარფაშს, მოგვაშორებს თავიდან მთელ ბიუროკრატიულსა და სახელმწიფო სამხედრო მექანიზმს, რომელმაც სისხლით დაგვცალა და მოგვსპო ნახევრად, სული შეგვირყვნა და გული დაგვილაჩრა, მთელი ჩვენი არსება სისხლით შეზავებულ ნეხვში ამოსვარა და ყელში ხელ-წაჭირებული ეხლაც გვაფართხალებს საცოდავად და უწყალოდ?!

იფიქრეთ, ახლად მოვლენილო მირაბეოებო! არა, ათასჯერ არა! ჩვენი მორიგება არაფერს არ შეუძლია, არც სახელმწიფო სათათბიროს, არც დამფუძნებელ კრებას, რომელიც ისეთსავე მონობას დაგვიფუძნებს, კიდევ უარესს, ვიდრე საფრანგეთის რევოლიუციონურმა დამფუძნებელმა კრებამ დაამყარა. ჩვენი მორიგება მხოლოდ შურის ძიების შემდეგ შეიძლება.

ჩვენი მოქმედება არჩევნები კი არ არის და არც იქნება,—ეს მხოლოდ დაღლილობის ნიშანია, ან დიდი შეცდომისა, რომელიც ძვირად სწორდება ხოლმე, ან თუ სწორდება, ხელ-ახალი რევოლიუციით,—არამედ შემოქმედება, მსგავსი იმ ხალხის აღფრთოვანებული შემოქმედებისა, რომელმაც ისეთი დიდი იმედი დაგვისახა გულს 1905 წლის წინად და განსაკუთრებით 1905 წელს, და რომელსაც დუმაში შესაძრომად გამზადებული გამსწავლული მეცნიერნი ანარხიას, ხაოსსა და განადგურებას უწოდებდენ და უწოდებენ დღესაც, ზოგი პირდაპირ და ზოგი კი მხდალად, მალულად, რომ რევოლიუციონერის“ სახელი არ გაუტყდეს.

დუმის მირაბოებო! რითი მოურიგდებით მტერს? ნუ თუ იმითი, რომ

ალიარებთ გათავებულად რევოლიუციას, ალიარებთ რომ რასაც სათათბირო დაამტკიცებს, იქ წერტილი უნდა დაესვას ამ უზარ-მაზარ აბობოქრებულ ოკეანეს ხალხურ ენერგიისას.?—მაშინ რიღას რევოლიუციონერები ხართ, ვის ატყუებთ?—ან კიდევ იმითი რომ სათათბირო და ამტკიცებს ხალხის მიერ მოპოვებულ წვრილ თავისუფლებათა?—მაშ აქ ხალხი ყოფილა პირველი მიზეზი თავისუფლების მოპოვებისა, და ის არა სჯობდა თვით ხალხის ენერგიის განდიდებისათვის და განცხოველებისათვის დაგვეხარჯათ ამდენი დრო და ძალ-ღონე, ვიდრე დუმის აგიტაციისათვისა და მელაკუდაობისათვის? იკითხავთ,—მაშინ ხომ რეაქციონერები გაიმარჯვებდენო. მაგრამ „კადეტები“ სადღა არიან? სადღა არის თვით ხალხი, რომელმაც განიცადა რეაქციის სუსხი და მისგან დადაგული თავის დღეში არ ჩააბარებს თავის ბედ-იღბალს გულქვა და სისხლმსმელ რეაქციონერებს? სადღა ხართ თქვენ, რევოლიუციონერებო, რომელიც მუდამ ხალხის გულში სტრიალებთ და ნებას არ მისცემთ რეაქციონერებს მოატყუონ დაქანცული ხალხი?..

ახლად მოვლენილო მირაბოებო! თქენც აგიხვიათ თვალი სამთავრობო ცრუმორწმუნეობამ! ჩვენში, როგორც ყოველ სხვა ქვეყანაში, ჩვენ აზრთა რეგულიატორად ყოველთვის ხდება მთავრობის საცოდავ ტვინთხელთა რომელიმე წევრი, რომელსაც ბედმა არგუნა ქვეყნის მართვა! საკმარისია ჩვენი საზიზღარი სოციალური და პოლიტიკური პირამიდის წვეროში მდგომარე იდიოტმა რაიმე ულაზათოდ წაოიყრანტალოს, და მთელი „მოაზრე“ ელემენტი საზოხადოებისა, მთელი ჟურნალ-გაზეთობა, მთელი წიგნები, მთელი ათი-ათასობით კრებანი აივსება ხოლმე ჟივილხივილით, ლაპარაკითა და მსჯელობით ამ უმეტეს ნაწილად მტკნარ სიტუტუცის მნიშნელობაზედ და ბოლოს და ბოლოს თან და თან იპყრობს მთელ პარტიათა მოქმედება და აქედან გადადის ხალხზედ, სწამლავს მის აზრსა და უკარგავს მოქმედების ხალისს. ასეთი მოვლენნაა რეაქციისაგან შეზღაზნილი დუმაც, რომელმაც ყველა პარტიები გადარია და მორიგებაზედ დაათანხმა.

ხალხი კი ისევ ისე რჩება ნამუსახდილი და განადგურებული, დაღაჩრებული და იმედ გადაწყვეტილი.

მას უნდა შურის ძიება და ახალი ძალის შეძენა, რომ განაგრძოს დაწყებული დიადი საქმე თავის განთავისუფლებისა. მას თავისი ცოლების, დედებისა, დებისა და შვილების გაუპატიურება, სახლ-კარის გადაწვა უსივებს გულს, მის ქოხებს პულემიოტები და ზარბაზნები უშვერია, თავზედ ყაზახირუსი ადგია სანავთითა და ცეცხლით ხელში—თანაც მიდიან და ეუბნებიან პეტრე ჯობია ივანეს, მას მიეცი თეთრი კენჭი, ის უკეთ დაიცვამს შენს ინტერესებს... აგრეთვე ზარბაზნებით გარემოცულ დუმაშიო!

ორი მებრძოლი ძალის შორის შუამავალ—მომრიგებლად დადგომა ამასა ჰქვია.

როგორ უნდა მოარიგოთ ეს ორი ძალა? როგორ უნდა მოვრიგდეთ ხალხი და სახელმწიფოს უარ-მყოფელნი ერთი მხრით,—და სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები მეორეს მხრით?

პასუხი ადვილია,—როდესაც ძალას ძალა დაუდგება წინ და ბრძოლა ერთის ან მეორის სრული მოსპობით დამთავრდება!

ჩვენ კი ხალხის გამარჯვებაში ვხედავთ ახალი ცხოვრების საძირკვლის ჩაყრას, და ამიტომაც ვართ შეურიგებელნი.

სრული მოურიგებლობა, არავითარი მორიგება, არავითარი დათმობა,—აი ჩვენი დევიზი!

Bâton

---

## სოციალ-დემოკრატიის კრიზისი

რუსულ პრესაში ბევრი რამ იყო დაწერილი იმ კრიზისზე, რომელიც ამ ჟამად არსებობს სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, მაგრამ ჩვენი აზრით ნამდვილი მიზეზი ამ კრიზისისა კიდევ არ არის გამოკვლეული. კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელნი ყველაზე მეტსა სწერენ ამ კითხვის შესახებ. ისინი არ მალავენ, რომ ის „ვალდებულება“, რომელსაც დღემდი სოციალ-დემოკრატია ასრულებდა მუშათადმი, ამიერიდგან კონსტ.-დემოკრატიულმა პარტიამ უნდა აასრულოს. ჩვენ უნდა მივსცეთ არა თუ პროლეტარიატს, არამედ თვით სოციალ-დემოკრატიას, რომელიც დღემდის, პროლეტარიატის აღმზრდელობას ჩემობდა, ის პოლიტიკური აღზრდა-განვითარება, რომელიც მათ აკლდათ—გაიძახიან ისინი. საფიქრელია, ამბობს მეორე, რომ ისეni, რომელიც ამ ბოლო დროს მოედო ჩვენში ახალ-გაზდა სოციალ-დემოკრატიას, საფლავში ჩაიტანს [illegible] უხარიათ, რომ ასე ადვილად ხელში ჩასაგდებ ლუკმად გახდა მათთვის სოციალ-დემოკრატიისაგან აღზრდილი პროლეტარიატი. კონსტიტ-დემოკრატები ამ სიხარულსა ჰფარავენ, მაგრამ ყოველ ეშვს გარეშეა, რომ სოციალ-დემოკრატიის დამარცხება ახარებთ მათ. „ხალხის თავისუფლების პარტიის“ პრესაში ნათლად იყო გამოთქმული ის აზრი, რომ პროლეტარიატი იძულებულ იქნება ან დაარსოს პარტია მზგავსი გერმანულ სოციალ-დემოკრატიისა, ან და შეუერთდეს „ხალხის თავისუფლების პარტიას“; დღემდის არსებულ სოციალ-დემოკრატიას, მაშასადამე, არავითარი მნიშვნილობა არ აქვს. ამ გვარად სოცილ-დემოკრატიის დამარცხებამ და დამცირებამ მუშების თვალში ერთის მხრით და მეორე მხრით თავის საკუთარმა მოულოდნელმა გამარჯვებამ კონსტიტუც.-დემოკრატიულ პარტიას სადღრღელი აუშალა, მადა გაუხსნა, ის აღარ კმაყოფილობს წვრილი ბურჟუაზიის, ჩინოვნიკობის და ინტელიგენციის პარტიობას, მას სურს სულ თუ არა, დიდი ნაწილი პროლეტარიატისაც შეიერთოს. იქვი არ არის ეს იმედი კონსტიტ.-დემოკრატიული პარტიისა გაცრუვდება. პროლეტარული მოძრაობა შემთხვევითი მოვლენა როდია, მას ღრმა ეკონომიური და სოციალური მიზეზები აქვს და მისი არსებობაც, სანამ არსებობს თანამედროვე ეკონომიური ურთიერთობა, აუცილებელია. პროლეტარიატის კონსტიტ.-დემოკრატიულ პარტიასთან შეერთება პროლეტარულ მოძრაობის გაქარწყლება იქნება—ამ გაქარწყლებას კი თვით ისტორია ჰქმნის შეუძლებლად; ამისათვის ისტორიის ჩარხის უკუღმა მობრუნება იქნება საჭირო და ეს ხომ შეუძლებელია თვით გამარჯვებულ კონსტიტ.-დემოკრატიულ პარტიისათვისაც. პარტიები ისტორიას არ ჰქმნიან, პარტიებს შეუძლიათ მხოლოდ გამომხატველი გახდნენ ამა თუ იმ ისტორიული ტენდენციისა, ამ თუ ის სოციალურ ჯგუფის ანუ ჯგუჯთა მისწრაფებისა—კონსტიტუც.-დემოკრატიული პარტია კი ვერ გახდება გამომხატველი ვერც იმ ისტორიული ტენდენციისა, რომელზედაც პროლეტარიატი ემყარება, ვერც პროლეტარიატის მისწრაფებათა. თუ დროებითად მოხდა დაახლოვება კონსტიტ.-დემოკრატიულ პარტი-

ასა და მუშათა შორის—ეს იმ მრუდე აღზრდის ბრალია, რომელიც ამ უკანასკნელებმა მიიღეს სოციალ-დემოკრატიისაგან. სოციალ-დემოკრატიის შეცდომები არ ამტკიცებენ პროლეტარულ მოძრაობის შეცდომილობას, სოციალ-დემოკრატიის დამარცხება არ ამტკიცებს პროლეტარიატის მოძრაობის დამარცხებას. „ეს სხვა არის, ის სულ სხვაა, შუა უდევს დიდი ზღვარი“. ის განზრახვით, განგებ, ქვეყნის მოსატყუებლად, სასაცილოდ ასაღებად შითხზული აზრი, ვითომ პროლეტარიატი და სოციალ-დემოკრატია ერთი და იგივე იყოს, უნდა გაქარწყლდეს, აღმოიფხრას. და ეს აგრეც ხდება რუსეთში, სადაც პროლეტარიატის ერთმა ნაწილმა შეიგნო ეს და ამით მან მეტი გამჭრიახობა და შეგნებულობა გამოიჩინა, ვინემ ჩვენმა პროლეტარიატმა, თუმცა მას განვითარებით რუსეთისაზე მაღლა ვაყენებდით. კონსტიტ.-დემოკრატიული პარტია პროლეტარიატს ხელში ვერ ჩაიგდებს: ის პროლეტარიატის უარყოფაა და პროლეტარიატი მისი უარყოფა. იქვი არ არის, მისი მადა დაუკმაყოფილებელი დარჩება, მაგრამ მის ცდას მაინც მნიშვნელობა აქვს.

საბედნიეროთ რუსი პროლეტარი ძალიან იქვის თვალით უყურებს ინტელიგენციას. მართალია ეს უნდობლობა ინტელიგენტცისადმი ხან და ხან არა სასურველ სახეს იღებს, მაგრამ ამ შემთხვაში ის უსათუოდ იხსნის პროლეტარიატს შეცდომისაგან. ის უყურებს ცოდნას, როგორც განსაკუთრებულ ფორმას პრივილეგიისას და თვით ინტელიგენციას უყურებს, როგორც მმპატრონეს და მონოპოლისტს ამ განსაკუთრებული ფორმის პრივილეგიასა—იქვი არ არის ის მას თავის ბელადად არ გაიხდის.

კონსტ.-დემოკრატიული პარტია—პარტიაა ინტელიგენტთა, მწერალთა, ჟურნალისტთა, ჩინოვნიკობისა და სხვა ეგრედ წოდებულ ლიბერალ პროფესიათ მოვარჯიშეთა, რომელნიც კერძო საკუთრების ნიადაგზე ესწრაფვიან ჰარმონიის დამყარებას და მას რა ხელი აქვს რა კლასიური დამოკიდებულება აქვს პროლეტარიატთან, რომლის არსებობის მიზეზი არსებულ ეკონომიურ ურთიერთობაშია, რომლის მისწრაფება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაარღვიოს ის პრინციპი, რომელსაც კონსტიტ.-დემოკრატიული პარტია თავის იდეალის ნიადაგად სთვლის? არა, ერთობა კონსტიტ.-დემოკრატთა დაპროლეტართა შორის შეუძლებელია. ის მეზობლობაც კი, რომელიც მათ შორის სოციალ-დემოკრატიის კლასიურ შეუგნებლობის მეოხებით დამყარდა დროებით, დარღვეულ იქნება პროლეტარიატის კლასობრივი შეგნებულების გაღვიძებით.

*
* *

ღირს შესანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს თვით სოციალ-დემოკრატია გამოტყდა თავის შეცდომებში. ვინც იცნობს სოციალ-დემოკრატიას, მან იცის, რომ მას თავის შეცდომების აღიარება არ უყვარს, რომ ის ყოველ ღონისძიებას ხმარობს, ყოველ გვარ სოფიზმებს იგონებს, რომ თავისი შეცდომები ან დამალოს, ან გაამართლოს და თუ ეხლა ის იძულებულია აღიაროს საქვეყნოთ ეს შეცდომები, ალბად მათი დამალვა შეუძლებელია თვით მაგვარ საქმეში ხელოვან და ოსტატ სოციალ-დემოკრატთვინაც-კი. დიახ, ეს ღირსშესანიშნავია, მაგრამ მაგაზე უფრო ღირსშესანიშნავი ის არის, რომ სოციალ-ოემოკრატია თავის შეცდომებს სწორედ იქ ხედავს, სადაც მას კონსტ.-დემოკრატიული პარტია უთითებს. აი მაგალითად რას ამბობს ერთი მათგანი *): „ეს დიდი ძალა (პროლეტარიატი), როგორც გამოჩნდა, უძლურია თანდათანობით განიგოს თავისივე თავი. გასაკვირალიც არ არის. პოლიტიკურ უუფლებლობის ატმოსფერაში, სადაც ადგილი არ აქვს ორგანოში მოყვანილ კლასთა ბრძოლას, შეუძლებელი იყო შემუშავებულიყო პროლეტარიატის მასსაში სწორი წარმოდგენა კლასთა ურთიერთობაზე, ჩაგდებულიყო თანდათანი კლასიური ტაქტიკის საძირკვლები“. ამისათვის, განაგრძობს ავტორი, პროლეტარიატი, გატაცებულ იქნა სარევოლიუციო ტალღებით, რომელნიც მას და მასთან ერთად სოციალ-დემოკრატიას, როგორც უნდოდათ ისე არყევდნენ. „ერთ დრომდის სოციალ-დემოკრატიის გავლენა საკმარისი იყო სტიქიური აფეთქების **შესაჩე ებლად** (До поры до времени вліянія с.-д. оказивалось достоточно, чтобы **сдерживать** поднимавшійся стихійный взрывъ). ის რომ არაერთხელ და ორჯელ გადადებულ იქნა ნოემბერში გაბედულ მოქმედების ასპარეზზე გამოსვლის საქმე (неоднократныя отсрочки рѣшительнаго выступленія), ამტკიცებს შეგნებულების შეუგნებელ ბობოქრობაზე (стихійность) გამარჯვებას. მაგრამ იქ სადაც სწორი ტაქტიკური მსვლელობა დამყარებულია არა მასსის ცოდნა-შეგნებაზე, არამედ მის ხელმძღვანელთადმი ნდობაზე, იქ უნდა დადგეს ისეთი წამი, როცა ძალა იზრდება იმდენად, რომ ის არღვევს ყველა მის შემკვრელ ნორმებს და თან წარიტაცებს თვით მოძრაობის უუშეგნებულეს მონაწილეთაც-კი“. ამას მერმედ ავტორი აცხადებს, რომ მიზეზად სოციალ-დემოკრატიის დაცემისა პროლეტარიატის „ბრწყინვალე განკერძოება“ (блестящая изопированность) უნდა იქნას აღიარებულიო. დაუმატეთ ამას გმობა თვით სოციალ-დემოკრატებისაგან თავისივე რევოლიუციონური ავანტიურიზმისა და მაშინ დასკვნის გამოყვანა გაადვილებული იქნება.

მართლაც რაში ხედავს კონსტ-დემოკრატები პარტია სოციალ-დემოკრატიის შეცდომებს და მისი დაცემის მიზეზებს? სწორედ იმაში, რაზედაც ზემო ნახსენები ავტორი უჩვენებს: რევოლიუციონურ ავანტიურიზმში. კონსტ-დემოკრატიის აზრით ეხლა სოციალიზმის ხსენების დროც არ არის, მისი აზრით ყველანი მას, ე. ი. კონსტ.-დემოკრატიის პარტიას უნდა მიეხმარონ. სოციალ-დემოკრატია კი ოქტომბერ-ნოემბერში თავის გზით აპირებდა სვლას. ამ შეცდომას ეხლა, რასაკვირველია, რუსეთის სოციალ-დემოკრატია გ. პლეხანოვისა და ეგრედ წოდებულ „უმცირესობის“ წარმომადგენელთა ზეგავლენით უარჰყოფს და ადგება იმ გზას, რომელზედაც მას კონსტიტუც.-დემოკრატიულმა პარტიამ უჩვენა.

ჩვენის აზრით სოციალ-დემოკრატიის დაცემის მიზეზი იმაშიდ-კი არ არის, რომ მან მეტი მოითხოვა, რომ მან საკმაო დემოკრატიულად ვერ აღზარდა პროლეტარიატი, ან იმაში რომ მან ვითომ სარევოლიუციო ავანტიურიზმის გზა აირჩია. არა, „მეტი“ მას არა რა მოუთხოვნია, რადგან მისი მოთხოვნილება ბურჟუა-დემოკრატიული მოთხოვნილება იყო, მან საკმაო დემოკრატიული აღზრდა მისცა პროლეტარიატს, რადგან ოცი წლის განმავლობაში უქადაგებდა მას სოციალიზმის სახელით ბურჟუა-დემოკრატიულ რეფორმათა განხორციელებას. ის არათუ სარევოლიუციო ავანტიურიზმს არ გადაჰყოლია, არამედ მან სარევოლიუციო გაბედულებაც ვერ გამოიჩინა ვერც ერთ შემ-

*) Отклики Современности № 1. Ю. Ларинъ. „Будущее русской Революціи“.

თხვევაში: ვერც იანვარში, ვერც აგვისტოს და ვერც ოქტომბერში. სწორედ ამან დასცა იგი. მან სოციალიზმისა და რევოლიუციის სახელით შეჰკრიბა თავის დროშის ქვეშ არმია და როცა რევოლიუცია მართლა დატრიალდა, მაშინ აღმოჩნდა, რომ რასაც ის სოციალიზმს უწოდებდა, სხვა არაფერი იყო თუ არა უბრალო ბურჟუა დემოკრატიული რეფორმიზმი. თუ საქმე **მხოლოდ** იმაშია, რომ რვა საათის სამუშაო დღე, სიტყვის, პრესსის და ორგანიზაციის თავისუფლება უნდა იქნას განხორციელებული, რად უნდა გაჰყვეს პროლეტარიატი ან ენა ბლუგუნა მარტოვსა, ან ბონაპარტიზმზე შეშლილ ლენინს და არა მილიუკოვს, გესენს, კარეევს, პეტრუნკევიჩს და როდიჩევს? ეს უკანასკნელნიც ამ რეფორმათა განსახორციელებლად იწვევენ ხალხს და მათ მხარეზე ის უპირატესობაა, რომ ისინი ცნობილნი და განათლებულნი არიან. ჩვენში ლიბერალური პარტია არ არსებობს, ჩვენ უნდა ვიკისროთ ის საქმე, რომელსაც ლიბერალური პარტია აასრულებდა, ის რომ არსებობდეს ჩვენშიო—გაიძახოდა სოციალ-დემოკრატია. როცა მოხდა რევოლიუცია, ლიბერალურმა პარტიამ, რომლის ბოლო დრომდის ჭაჭანებაც არ ისმოდა „ჩვენში“, ჩაიგდო ხელში სვე-ბედი რევოლიუციისა და პროლეტარიატის იმ ნაწილს, რომელმაც პოლიტიკური აღზრდა სოციალ-დემოკრატიისაგან მიიღო, შეძლებაც არ აქვს გაარჩიოს სად თავდება კონსტიტუციონალ-დემოკრატიზმი და სად იწყება სოციალ-დემოკრატიზმი. თავიც რომ იმტვრიოსმაინც ვერ ნახავს **პრინციპიალურ** განსხვავებას სოციალ-დემოკრატიულ და კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პროგრამათა შორის. მათ შორის არსებული განსხვავება მხოლოდ **რაოდენობითია და არა ღირსებითი.** აქ ლაპარაკი, რასაკვირველია, სოც.-დემოკრატიის პროგრამა მინიმუმზედ არის. მართალია, სოციალ-დემოკრატებს შეუძლიანთ გვიპასუხონ, რომ ის რაც კონსტ.-დემოკრატებისთვის მაქსიმუმია ჩვენთვის მხოლოდ მინიმუმიაო, მაგრამ ამ მაქსიმუმს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მაქსიმუმის განხორციელების ცდა სოციალ-დემოკრატიისაგან პროვოკაციად არი გამოცხადებული *).

*) „Впередъ“ № 10. უკანასკნელი 16 სტრიქონი მოწინავე სტატიისა.

სანამ მხოლოდ სოციალ-დემოკრატია ელაპარაკებოდა ხალხს და სოციალიზმდ დემოკრატიზმს აჩეჩებდა ხელში, ხალხიც მას მიჰყვებოდა უკან, მაგრამ რაკი სოციალიზმით ამოძრავებულმა პროლეტარიატმა რევოლიუცია შეჰქნა კიდეც და ჩაუგდო კიდეც კონსტ.-დემოკრატებს ხელში და რაკი ამ უკანასკნელებმა, როგორც იქნა გაბედეს და თავიანთი პროგრამა წამოაყენეს წინ, ხალხმაც იხილა რომ ის რასაც სოციალ-დემოკრატია აწვდიდა ხალხს სოციალიზმის სახელით, კონსტ.-დემოკრატიზმია. ბუნებრივია, მას სოციალიზმის ნიღაბს ქვეშ მომქმედ დემოკრატებზე იქვი შეეპარა, ერთმა მისმა ნაწილმა უნიღაბო დემოკრატები — კონსტიტ.-დემოკრატები არჩია. ხალხი მხოლოდ სოციალიზმისათვის მიჰყვებოდა სოციალ-დემოკრატიას. რაკი, მოქმედების დრო როცა მოვიდა, სოციალ-დემოკრატიის სოციალიზმი მოჩვენება გამოჩნდა, ის შეკრთა და აქედ-იქით გაფაციცებით ეძებს თავის მანუგეშე იდეალს.—იქვი არ არის, რომ მას მისი კლასობრივი ინსტიქტი, ყნოსვა ხელს შეუწყობს კვლავ იპოვოს მისი მანუგეშე და მისი მოქმედების ხელმძღვანელი ძალა—იდეალი სოციალიზმისა.

ეხლა მთელი რუსეთის მუშათა ხალხში დიდი გონებრივი მოძრაობაა აღძრული, ეხლა ეძებს ის თავის პარტიის შემქმნელ ელემენტებს, ეხლა აწესრიგებს ის სოციალიზმისათვის მეომარ არმიას. ის სოციალისტური მოძრაობა, რომელიც დღემდი არსებობდა რუსეთში, ის „სოციალისტური“ პარტიები, რომელნიც დღემდი არსებობდნენ, დემოკრატიულ პარტიების სუკურსალებად აღმოჩნდნენ და უორგანოთ დარჩენილი პროლეტარიატი თავის პროლეტარულ პარტიის დაარსებასა სცდილობს. ეს ცდა ახასიათებს ჩვენს დროს.

*
* *

სოციალ-დემოკრატები ხშირად ამბობენ: სად იყავით აქნამდის? სანამ ჩვენ ვიყავით ბატონი ყველანი ჩვენს დუდუკზე თამაშობდით და ეხლა როცა ჩვენ ძლეულნი ვართ მაშინ აგვიტყდითო. ერთი რომ თუ ყველა სოციალ-დემოკრატიის გემოზე „ღიღინებდა“, ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ ყველა სოციალ-დემოკრატიის რწმენისა იყო. ტერორით თავზე მოხვეული აზრი ადამიანის რწმენად არასოდეს არ გახდება. მეორედ სწორედ იმ მოუმზადებლობამ, იმ უნიჭობამ შემოქმედობისა, იმ უქმროდ დარჩენილ ბებერ ქალწულისებურ იჭვიანობამ, იმ არა[illegible] მომრეობამ, იმ მისწრაფებამ თვითმპყრობლობისაკენ, რომელიც სოციალ-დემოკრატიამ გამოიჩინა მაშინ, როცა ის ბატონობდა,—სწორედ ყველა ამან თვალსაჩინოთ გახადა ყველასათვის, რომ სოციალ-დემოკრატია ვერ არის ის პარტია, რომელზედაც უნდა დაამყაროს ხალხმა თავის სურვილის განხორციელების საქმე. სანამ სოციალ-დემოკრატიის „ბატონობა“ არ გამოეცადა, ბევრი სიმპატიის თვალით უყურებდა სოციალ-დემოკრატიას. ამ ბატონობამ არა ერთი და ორი მუშაკი ჩამოაცალა მას. მისი სისუსტე, მისი „ჭკუა“ სწორედ იმ ორი თვის ბატონობამ ჰყო ნათლად. სწორედ იმ ორი თვის განმავლობაში გაამართლა სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიაზე ის რაც ერთხელ გ. პლეხანოვმა ნეკრასოვის სიტყვებით კერძოთ ლენინზე სთქვა:

Слылъ умникомъ и въ усъ себѣ не дулъ,
Поклонники въ немъ видѣли Мессію,
Попалъ на министерскій стулъ
И наглупилъ на всю Россію.

---

## რუსეთის ცხოვრებიდან

— **მოძრაობა შავი-ზღვის ფლოტში.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, შავი-ზღვის მატროსთა შორის ხელ-ახლა დაიწყო **მღელვარება.** მატროსთა შორის ძლიერ ვრცელდება უკიდურესს პარტიათა ლიტერატურა.

— **გადასახლებულთა რიცხვი.** არხანგელისა და ვოლოგდის გუბერნიებში ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულთა რიცხვი 33 ათასამდის ავიდა თურმე.

— **თავის ჩამოხრჩობა,** 19 აპრილს პეტერბურგში, თავშესაფარში, თავი ჩამოიხრჩო უადგილოდ დარჩენილმა მუშამ, გლეხმა ნიკანორ სმირნოვმა. მიზეზი ჩამოხრჩობისა შიმშილი იყო.

— **მოძრაობა არხანგელში.** არხანგელში ქუჩებზე გაკრულია შემდეგი განცხადება გუბერნატორისა: „თითქმის ყოველ დღე ქალაქში იმართება დემონსტრაციები რევოლიუციონურის სიმღერებით და მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებით. ვაფრთხილებ მცხოვრებთ, რომ დემონსტრაციების მოსასპობლად იარაღს ვიხმარ.

— **ქალის გაუპატიურება.** კიევის სამხედრო სასამართლოში გაირჩა საქმე ერთი მემამულის ქალის ც.-ს გაუპა-

ტიურების შესახებ. ეს ქალი ექვს ყაზახს გაუუპატიურებია.

— **აგრარული მოძრაობა.** ლოხვიცკის მაზრაში (პოლტავის გუბ) აგრარული **ტერორი გახშირდა**. თითქმის ყოველ ღამე ცეცხლს უკიდებენ ხან შენობებს, ხან ჰირნახულს. გორვიცის მამულში 600 მუშა გაიფიცა.

— **მუშათა მოძრაობა.** ივანო-ვოზნესენსკში (ვლადიმირის გუბერ.) მუშათა მოძრაობა იზრდება.

— **ლოძში გაიფიცნენ** ყველა მუშები. გაზის ქარხნის მუშების გარდა. ქალაქის რკინის გზა (ტრამავაი) არ მუშაობს, გაზეთები არ გამოდის. ზოგიერთ ქარხანაზე წითელი ბაირაღებია გამოკიდული, რომელთაც პატრულები ხსნიან მუშაობის შეჩერების დროს შეტაკება მოხდა მუშებს შორის. საქმეში ჯარიც ჩაერია და დასჭრა ექვსი კაცი

— **ქ. ტულაში.** შეტაკება მოხდა მუშათა შორის. ქარხნებიდან შინ მომავალ მუშებს დაუხვდნენ უადგილოდ დარჩენილი მუშები და სთხოვეს შეემცირებინათ სამუშაო დღე და უარი ეთქვათ ზედ მეტ სამუშაოზე, რომ უადგილო მუშებისათვის ადგილები დაცლილიყო. ქარხნებიდან მომავალმა მუშებმა ამის პასუხად უადგილოებს რევოლვერის **სროლა** დაუწყეს. მოვიდნენ მაშინვე ყაზახები, ჟანდარმები. გაბერნატორი და მუშებს იარაღი წაართვეს. უადგილო მუშებიდან სასიკვდილოდ დაიჭრა მამი კაცი (რ. სლ.)

— **რიგა. რევოლიუციონერები დაეცნენ** სად. შლოკის საფოსტო კანტორას, გაძარცვეს კასა, მოჰკლეს კანტორის უფროსი, აფიცერი, ჟანდარმი-გოროდოვოი, 1 კერძო პირი და მიიმალნენ.

— **ბელოსტოკი.** გაფიცვებს ხელმძღვანელობს ანარქისტთა ორგანიზაცია, რომელიც აშკარად ურიგებს უსაქმოდ დარჩენილ მუშებს ქუჩებში ფულებს, რომელთაც მუქარით ართმევენ კერძო პირთა და მაღაზიებს. მოელიან ყველა ფაბრიკებს დაკეტვას, 4 კაცი დაჭერილი ძალმომრეობისათვის ტომსკის გუბერნიაში იგზავნებიან.

— **იაროსლავი.** 2 გამოჩენილი პოლიტიკური ტუსაღი გაიქცა ციხიდან.

— **ვარშავა.** სოფ ჩიტაში აღმოაჩინეს ბომბების ფაბრიკა. იპოვნეს 6 ბომბა და ასაფეთქებელი მასალა. დაიჭირეს 13 კაცი.

**იაროსლავი.** „რიბინ. ლისტოკი“-ი იუწყება, კალიაზინში გლეხებმა მოითხოვეს დაჭერილის **განთავისუფლება.** მოკლულია ორი გლეხი და დაჭრილია რამდენიმე.

**ადესა.** დაიჭირეს დიაკონის შვილი ბასანსკი, რომელსაც ბოქაულ პოგრებნოის მოკვლას აბრალებენ.

**ბრიანსკი.** საღამოს, ტუსაღების სეირნობის დროს, რამდენიმე **შეიარაღებული კაცი შეიპარა** სატუსაღოს ეზოში, დასჭრეს ზედამხედველი, გაანთავისუფლეს 2 პოლიტიკური ტუსაღი და უკვლოდ მიიმალნენ.

— „რეჩ“-ი იუწყება. მინისტრმა დურნოვომ 200,000 მან. მიიღო სამსახურიდან გასვლის დროსაო.

— **მიტავა.** მოჰკლეს ტყის მცველი სადგურ ბენენთან.

— **საყვედური** შინაგან საქმეთა მინისტრმა პეტერბურგის ქალაქის თავს რეზცოვს საყვედური გამოუცხადა უადგილო მუშების დეპუტაციის მიღებისთვის.

— გრადონაჩალნიკმა ხელახლა **დახურა.** თავისუფალ-ეკონომიურ საზოგადოებაში დეპუტატების კრება. კრებაზე შეიარაღებულები შეიყვანეს. 120 დეპუტატმა პროტესტი განაცხადა დეპუტატ ბაბიჩის გაჩხრეკის წინააღმდეგ.

**მოსკოვი.** მოჰკლეს არა ადიუტანტი დუბასოვი, არამედ საიდუმლო პოლიციის უფროსი კონოვნიცინი. მსუბუქად დაიჭრა კუჩერი და გოროდოვოი. დამნაშავეს თავის ქალა გაუსრიათ. მას საზღვაო აფიცის ფორმა ეცვა და ყელზე გიორგის ჯვარი ეკიდა. ჯიბეში 200 მან. უპოვნეს, ბომბა ფორთოხალზე დიდი არ ყოფილა; დამნაშავეს თაიგულში ჰქონდა გახვეული იგი.

— **მოსკოვი.** უბნის ზედამხედველ პავლოვის ნალაპარაკევი: გენ.-გუბერნატორი კონოვნიცინთან ერთად კრემლიდან მოდიოდა კალიასკით; როცა კალიასკამ შეუხვია გენ.-გუბერნატორის სადგომის მთავარ კარებისაკენ, მას გაუსწორდა საზღვაო აფიცერი, რომელიც ტვერსკოი ქუჩაზე მოდიოდა; აფიცერმა ჯერ „ჩესტი“ აუღო გენ.-გუბერნატორს, მერმე დაიკუზა და რაღაც ესროლა ეტლს, გაისმა აფეთქების ხმა და გუჩა ბოლში გაეხვია. რამდენიმე წამის შემდეგ, როცა ბოლი გაიფანტა, პავლოვს დაუნახავს ქუჩაზე განართხული კონოვიცინი, რომელსაც ძლიერ ჰქონდა დაშავებული თავი და ხელ-ფეხი. იქვე ეგდო დამნაშავე თავგახეთქილი. კუჩერი ცდილობდა ამდგარიყო, ცხენები კი ტვერსკოისაკენ გარბოდენ და წაექცევ ქუჩაზე გოროდოვოი. დუბასოვი აფეთქების ძალამ გადმოაგდო კალიასკიდან და რამდენიმე არშინის მანძილზე გადაისროლა;

— **ვარშავა.** სამხედრო სასამართლომ 15—15 **წლის კატორგა გადაუწყვიტა 3 გლეხს,** რომელნიც იარაღით ხელში დაეცნენ სოფ. ოხოტაში სავმინო სამმართველოს.

— **ბელოსტოკი.** ფაბრიკანტ ბრიუნერის ბინაზე **ბომბა შეაგდეს.** დასჭრეს ბრაუნერის ცოლი. ბოროტ-განზრახველი მიიმალა.

— **ვარშავა.** სოფ. ჩისტაში, ვარშავასთან, იპოვნეს **ბომბების ფაბრიკა,** ნახევარი ფუთი დინამიტი, გოგირდის სიმჟავე, გიკფორდების კაპსულები და ზორთები; დაიჭირეს 13 კაცი. ვისლის პირა გზების სამმართველოს ახლოს იფეთქა ბომბამ. მოჰკლეს 2. დამნაშავე მიიმალა.

— **ვარშავა.** ბომბით **დასჭრეს** ვისლის პირა გზების უფროსი და მისი თანაშემწე. დამნაშავე მიიმალა.

— **ვარშავა. გაიფიცნენ** ქალაქის ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების მუშები.

— **სედლეცი. ბომბა** გადააგდეს საკრედიტო საზოგადოების შენობის წინ, სადაც არჩევნები უნდა მომხდარიყო. გადამგდებნი—ორი ებრაელი—დაიჭირეს.

— **ვარშავა.** სამხედრო სასამართლომ **სიკვდილით დასჯა** მიუსაჯა გლეხ მანტრიანს პოლიციისთვის იარაღით ხელში წინააღმდეგობის გაწევისა და მკვლელობის ჩადენის განზრახვისათვის.

— **ჰელსინგფორსი.** ტყეში იპოვნეს 22 **კილოგ. დინამიტი.** დამტკიცებულ იქმნა სეიმის წინადადება წარმომადგენლობის რეფორმის შესახებ.

— **პეტერბურგი.** პირველ საათისას გენ.-გუბერნატორ დუბასოვის კარეტას, რომელიც უსპენსკის სობოროდან მოდიოდა, ბომბა ესროლეს. დუბასოვთან იჯდა მისი ადიუტანტი ლია კარეტაში. **ბომბა გადააგდო აფიცრულად გამოწყობილმა** ვიღაც უცნობმა, თვითონ გენ.-გუბერნატორის ბინასთან. საშინელი აფეთქების ხმა გაისმა. 500 ფეხის ნაბიჯის სივრცეზე ჩაილეწა ფანჯრების შუშები. დუბასოვი ფეხში დაიჭრა, მოჰკლეს მასთან მჯდომი ადიუტანტი. მოკლულ იქნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე ორი სალდათი, რამდენიმე კაცი ხალხიდან დაიჭრა. დაჭრილი ცხენები დაიჭირეს ვერხნევისელნი ქუჩაბანდში. დუბასოვის კალიასკა დაიმტვრა, წინა თვალი მოჰგლიჯა. ბალიშები დაიწვა. ხმები დადის, ბომბ-ს გადამგდებიც მოკლულიაო.

— **რიგა.** 20 აპრილი. **გაფიცულია** 18,000 მუშა, 32 ქარხანა დგას, ქუჩებში სამხედრო პატრულია.

**ნოვოჩერკასკი.** პეტერბურგს მიმავალი წევრები სათათბიროსი აუარებელმა ხალხმა გააცილა გაიმართა **მთავრობის საწინაალმდეგო დემონსტრაცია**· სალამოს განმეორდა დემონსტრაცია, მღეროდენ სარევოლიუციო სიმღერებს. დაიჭირეს რამდენიმე კაცი.

**ბელოსტოკი.** სტაუბახის ფაბრიკის გამგეს **შეუვარდა ბინაზე** 20 შეიარაღებული კაცი და კასიდან 3,000 გაიტაცა.

**ვარშავა.** ციტადელში **ჩამოახრჩეს** პავლე.მენტარი შეიარაღებულ თავდასხმისთვის.

**მამის გასამართლება შვილის მაგივრად.** ვიბორგის ციხეში ეს ორი თვეა ზის 80 წლის მოხუცი ვლადისლაველევი, რომელიც დაუპატიმრებიათ დამალულ შვილის მაგივრად. ვლადისლაველევი დაეკითხა ჟანდარმთა მმართველობას, რისთვის დამაპატიმრეთო, და პასუხად მიიღო; შვილის ცუდად აღზრდისათვისაო.

**მღვდელი-პოლიციელი.** პეტერბურგში ბოქაულად დაუნიშნავთ მღვდლად ნამყოფი ხრ-ჩი, რომელმაც ამას წინად მღვდლობას თავი დაანება მეორე ცოლის შერთვის გამო.

**კიევი.** პროზოროვსკი ქუჩაზე აღმოაჩინეს კონსპირატიული სარევოლიუციო ბინა **საიდუმლო სტამბითა** და აუარებელი არა ლეგალური ლიტერატურით, იპოვნეს 2 ბომბა. დაიჭირეს 2 კაცი და ერთი ქალი.

— **პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია, 17-დან 24 აპრილამდე 17 შემთხვევა იყო სახელმწიფოში **რევოლითციონრრ მოძრაობისაო.**

— **ჩიტა. თავი მოიკლა** მესამე ბატარეის კამანდირმა დრუჟინინმა.—სამსახურიდან გადააყენეს ჟანდარმთა როტმისტრი ბარაბანოვი·

აუარებელი ებრაელი მიდის ამერიკასა და პალესტინაში.

— **რიგა.** სასიკვდილოდ **დასჭრეს** ქარხნის დირექტორი რობერტ ლეიისტი.

— **მოსკოვი.** თავად აზნაურთა ერთმა წრემ დაადგინა, იშვამდგომლოს ხელმწიფესთან რუსეთში **სამხედრო დიქტატურის** შემოღებაზე **ტერორისტთა ასალაგმავათ და ქვეყნის დასამშვიდებლათ.** დუბასოვი კეთულობს. მსროლელის ვინაობა ვერ გაიგეს, ტყუილი გამოდგა, ვითომც იგი ყოფილი სტუდენტი ან მუშა ყოფილიყოს.

— **ბელოსტოკი.** პოტოცკის მამულში გლეხებმა მინდვრებიდან **გარეკეს მუშები** და წინაალმდეგობა გაუწიეს ბოქაულსა და დარაჯებს. დაიჭირეს 40 კაცი.

— **რიბინსკი.** 5 ბოროტ-გამზრახველმა **წაართვა** ცეიხჰაუზის დარაჯს ვინტოვკა და მიიმალა.

— **სოსნოვიცკი.** დომბროვოში ტყვიით **მოჰკლეს** საერობო დარაჯი.

— **კიევი.** ჩერკასკის ციხიდან 2 ტუსაღი **გაიქცა.**

— **დონის-როსტოვი.** ნიკოლაევსკი ქუჩ.ბანდში იპოვნეს კანტორასა და 2 საწყობში 500-ზე მეტი **ბომბა.** დავთრებიდან სჩანს, რომ 1000-ზე მეტი ბომბა გაუგზავნიათ სხვა და სხვა ქალაქებში. პოლიციას ბომბებითა და რევოლვერებით დახვდნენ. დაიჭირეს 4 კაცი.

— **სარატოვი.** გაიფიც 30» მტვირთავი.

— **რიგა.** 40 შეიარაღებული რევოლიუციონერი დაეცა რიგის ახლოს სატელეგრაფო როტას, შეჰკრეს დარაჯი, გაიტაცეს 31 ვინტოვკა და მიიმალნენ.

**ვარშავა.** სად. პრაგაზე მოიპარეს 8 ფუთი საომარი პატრონა.

**ვარშავა.** შეიპყრეს იმ ციხის უფროსის თანაშემწე რომელზედაც ეჭვი აქვთ, ვითომც მონაწილეობა მიეღოს 10 პოლიტიკურ დამნაშავის გაპარებაში.

— **ბელოსტოკი.** გარბიან ყველა ფაბრიკანტები, რადგანაც ქალაქი ტერრორის ქვეშაა. დაიხურა რიხტერისა, რუდოლფისა, კომიხაუსა და გენდლეარის ფაბრიკები. ელიან დანარჩენ ფაბრიკების შეჩერებასაც.

— **პეტერბურგი.** 26 აპრილი. გუშინ კიდევ გაჰფანტა პოლიციამ სახელმწიფო სათათბიროს წევრნი. ამ ამბავმა ქაღალდების ფასის დაცემა გამოიწვია ბირჟაზე.

ბიუროკრატიულ წრეებში აღშფოთებულნი არიან მინისტრების უცერემონიო დათხოვნის გამო. ფიქრობენ, რომ ამ დათხოვნის მიზეზი ტრეპოვია.

ქალაქს მეტი და მეტი მღელვარება ეტყობა· ცხენოსანი პლასტუნები გააძლიერეს·

ძირითად კანონების გამოცემას, სტიშინსკის და სტოლიპინის დანიშვნას პროგრესიულ ჟურნალ-გაზეთები კონფლიქტის გამომწვევად სთვლიან.

27 აპრილისათვის აღკრძალულია ყოველგვარი კრებები და მიტინგები.

---

## ადგილობრივი ქრონიკა

✦ **თოფის წამლის და თოფის აღმოჩენა.** ერევან-ნახიჩევნის გზაზა პოლიციას აღმოუჩენია 16 თოფი თოფის წამალი და 30 თოფი.

✦ **დიდძალ ფულის მოპარვა.** როგორც ერევნიდან იტყობინებიან, აპრილის პირველ რიცხვებში იქაურ ბანკს ფოსტისთვის ჩაუბარებია პეტერბუგში გასაგზავნად 330 ათასი მანეთი. ეხლა, როგორც პეტერბურგიდან იუწყებიან, როცა ფოსტის ჩემოდნები ადგილობრივ გაუხსნიათ, ფულის მაგივრად შიგ უნახავთ წვრილი ქვა და სილა. სად მოხდა ქურდობა ან ვინ არის ქურდი, ჯერ არავინ იცის,

— **ქუთაისი,** 25 აპრილი. გუშინ სოციალისტ-რევოლიუციონერებმა ქიმიკური ობსტრუქცია გამართეს არჩევნების დარბაზში· დღეს ბიულეტენების დათვლის დროს 6 სოც.- რევოლიუციონერმა დაჰკლიჯეს ნაწილი დამზადებულ ბიულეტენებისა.

✦ **დაპატიმრება.** სად. განჯაზე დააპატიმრეს რკინის გზის მოსამსახურე ბუშაური, ყოფილი დარაჯი დუშეთის ხაზინისა. იმას აბრალებენ მონაწილეობის მიღებას დუშეთის ხაზინის გაძარცვაში. დააპატიმრეს აგრეთვე ორი სხვა დარაჯი.

✦ **მემამულის მოკვლა.** ლანჩხუთში მოუკლავთ მდიდარი მემამულე სილიბისტრო წილოსანი. მკვლელი დაიმალა.

---

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ერისთავი-მდივნისა**

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა". ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65.